პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 27 (5427) | პარასკევი, 3 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მომავალი კრებები, რაიონული და საოლქო პარტიული კონფერენციები, რომელთა მოწვევის წესი განსაზღვრულია ცენტრალური კომიტეტის მიერ, ჩატარდება სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო კომუნისტთა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვის ნიშნით. ლენინ-სტალინის პარტია ეგებება თავის XVIII ყრილობას, ცხადჰყოფს რა მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი რიგების ერთიანობას და მჭიდროდ დარაზმულობას, თავის მძლავრ ნებისყოფას კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

„პრავდა“

ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული ძლიერება

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნებული თეზისები ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენებისა პარტიის XVIII ყრილობაზე — საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, ძირითადად მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ, ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის უდიდეს ყურადღებას მიიპყრობენ. ეს თეზისები გამსჭვალულია სტალინური მზრუნველობით ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ სიმტკიცესა და ძლიერებაზე, ისინი მთელი ძალით ასახავენ სოციალიზმის გამარჯვებათა სიდიადეს და პარტიის გაზრდილ როლს, მისი თვითეული მებრძოლის როლს შემდგომ ბრძოლაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ამტკიცებდა რა ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპების ურყეობას, ჩვენი პარტია მუდამ ისწრაფოდა იმისკენ, რომ პარტიული ორგანიზაციის ფორმები და მუშაობის მეთოდები სავსებით და მთლიანად შეესაბამებოდნენ მოცემული კონკრეტული ისტორიული ვითარების თავისებურობებსა და იმ პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც ამ ვითარებიდან გამომდინარეობენ. ბოლშევიკებისათვის არ არსებობს მუდმივი და უცვლელი, რევოლუციური პროცესის ყველა საფეხურისათვის გამოსადეგი ფორმები პარტიული ორგანიზაციისა. პირიქით, ჩვენი პარტიის ორგანიზაციული იარაღი უდიდესი მოქნილობითა და სიმასრით განირჩევა. განვითარების პირობების შეცვლასთან ერთად პარტია გაბედულად და გადაჭრით სცვლის ორგანიზაციის ფორმებსაც, რადგან, თუ ეს ფორმები უცვლელნი დარჩნენ, ისინი დაბრკოლებად გადაიქცევიან შემდგომი განვითარების გზაზე. მხოლოდ ასეთი მიდგომა სინამდვილისადმი, მიდგომა, რომელიც ვითარების მარქსისტულ-ლენინური ანალიზიდან გამომდინარეობს, უზრუნველჰყოფს პარტიისათვის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკული ამოცანების სწორად გადაჭრას.

სოციალისტური მშენებლობის წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში მოხდა რადიკალური ცვლილებები. რადიკალური ცვლილებები მოხდა აგრეთვე საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში. ექსპლოატატორული კლასები, ყველა ექსპლოატატორული ელემენტი ლიკვიდირებულია. ჰქრება კლასობრივი მიჯნები სსრ კავშირის მშრომელებს შორის, იშლება და ჰქრება ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობები მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის.

შექმნილია საფუძველი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა, რამაც თავი იჩინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დღეებშიც, რაც თავს იჩენს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა მისწრაფებაში—შევიდნენ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა), „რომელიც არის მშრომელთა მოწინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა“ (სსრ კავშირის კონსტიტუცია).

საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებანი იწვევენ იმის აუცილებლობას, რომ შეცვლილ იქნას პარტიაში მიღების პირობებიც.

„ამ ახალ ვითარებაში,—ნათქვამია ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში, — მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ შეცვლილ იქნას პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს წესდება. პარტიაში მიღების წესი, რომელიც ამჟამად მოქმედებს პარტიის წესდების თანახმად და რომლის საფუძველზედაც მიღება ხდება ოთხი სხვადასხვა კატეგორიით, პარტიაში შემსვლელის სოციალური მდგომარეობის მიხედვით, აშკარად არ შეესაბამება საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, რომელიც შეიცვალა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. უკვე აღარ არის საჭირო პარტიაში მიღების დროს სხვადასხვა კატეგორიებისა და სხვადასხვა საკანდიდატო სტაჟის დაწესება. ამასთან დაკავშირებით პარტიაში ყველა შემსვლელისათვის უნდა დაწესდეს მიღების ერთიანი პირობები და ერთნაირი საკანდიდატო სტაჟი, დამოუკიდებლად იმისა —ეკუთვნიან ისინი მუშათა კლასს, გლეხობას თუ ინტელიგენციას“.

თეზისები ითვალისწინებენ, რომ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის წესდება საერთო, ერთწლიანი საკანდიდატო სტაჟის გავლა, რომ პარტიის წევრებად და კანდიდატებად შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ რეკომენდაციები პარტიის მხოლოდ სამი წევრისა, რომელთაც აქვთ სამწლიანი პარტიული სტაჟი და რომლებიც ერთი წლის ერთად მუშაობით მაინც იცნობენ მათ. თეზისებში ლაპარაკია აგრეთვე იმაზე, რომ აუცილებელია გაუქმდეს ის საწესდებო მოთხოვნა პარტიის წევრებად შემსვლელი კანდიდატებისადმი, რომლის მიხედვითაც კანდიდატებს მოეთხოვებათ არა მარტო აღიარება პარტიის პროგრამისა და წესდებისა, არამედ პროგრამის შეთვისებაც.

ცოტა როდი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც პარტიული ორგანიზაციები თავს იკავებდნენ პარტიაში პატიოსან და შემოწმებულ ადამიანთა მიღებისაგან მხოლოდ იმ მოტივებით, რომ ამ ადამიანებს პარტიის პროგრამა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეთვისებული. ამხანაგმა სტალინმა ყურადღება მიაქცია ასეთ არასწორ მოთხოვნებს, და თეზისები აღადგენენ ამ საკითხის სწორ, ლენინურ - სტალინურ გაგებას. პარტიაში ყოველი შემსვლელი აღიარებს მის პროგრამასა და წესდებას და, პარტიაში მიღების შემდეგ, მუშაობს მისი პროგრამის შეთვისებაზე, ე. ი. ისწრაფვის გახდეს თეორიულად მომზადებული ბოლშევიკი.

ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისებში დიდი ადგილი ეთმობა პარტიის წევრთა იმ უფლებების საკითხს, რომლებიც თავისთავად ნაგულისხმევად ითვლება, მაგრამ წესდებაში აღნიშნული არ არის:

„ა) პარტიის წევრთა უფლება — გააკრიტიკონ პარტიულ კრებებზე პარტიის ყოველი მუშაკი;

ბ) პარტიის წევრთა უფლება — აირჩიონ და არჩეულ იქნან პარტიულ ორგანოებში;

გ) პარტიის წევრთა უფლება — მოითხოვონ პირადი მონაწილეობა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მათი საქმიანობის ან საქციელის შესახებ;

დ) პარტიის წევრთა უფლება — მიმართონ ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც კი“.

ამ დამატებებს დიდი პრინციპული მნიშვნელობა ექნება. პარტია თავის წესდებაში მტკიცედ აღბეჭდავს პარტიის წევრთა ყველა უფლებას, იცავს კომუნისტებს ბიუროკრატიზმის გამოვლინებისაგან. პარტიის თვითეულ წევრს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ პარტია დაიცავს მას, თუ იგი მოქმედებს პარტიის ინტერესებისათვის, რომ პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი არ დაუშვებენ თვითნებობას პატიოსანი კომუნისტის მიმართ და მის დაჩაგვრას — ვისი მხრითაც უნდა იყოს ეს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძლევა ადამიანებისადმი, მათი განცხადებებისადმი, სიგნალებისადმი უაღრესად ყურადღებითი, უაღრესად გულისხმიერი დამოკიდებულების მაგალითს. ცნობილია საკმაოდ ბევრი შემთხვევა, როცა ბიუროკრატებისგან ან მტრებისაგან დევნილი პატარა მუშაკები ზოგიერთი ინსტანციისათვის ჭვერდის ავლით დახმარებისათვის მიმართავდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მუდამ ღებულობდნენ ამხანაგურ დახმარებას და მხარდაჭერას. ადამიანებისადმი ასეთი დამოკიდებულება უნდა შეითვისოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა ბოლშევიკმა.

შემდეგ, ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისები ითვალისწინებენ პარტიის მასობრივი წმენდის გაუქმების საჭიროებას. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ პარტიული რიგების გაწმენდის ძირითად საშუალებას მასობრივი წმენდა როდი წარმოადგენს. პრაქტიკამ დაგვანახვა მრავალი შემთხვევა, როცა ადამიანები, რომლებმაც მშვიდობიანად გაიარეს რამდენიმე მასობრივი წმენდა, შემდეგში მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები. პარტიას შეუძლია ჩვეულებრივი წესით გასწმინდოს თავისი რიგები იმ პირებისაგან, რომელნიც არღვევენ პარტიის პროგრამას, წესდებას, დისციპლინას. საჭიროა მხოლოდ უაღრესი ყურადღებით მიდგომა, მეგობრისაგან მტრისა და მტრისაგან მეგობრის გარჩევის ბოლშევიკური უნარი.

ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ასწავლის პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის წევრებისადმი გულისხმიერად და ყურადღებით მოპყრობას. „დროა შევიგნოთ, — ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1938 წ.) პლენუმის დადგენილებაში, — რომ ბოლშევიკური სიფხიზლის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გვქონდეს უნარი ამხილო მტერი, რარიგ ცბიერიც და გაქნილიც უნდა იყოს იგი, რა სამოსელითაც უნდა ირთვებოდეს იგი, და არა იმაში, რომ განურჩევლად ან „ყოველი შემთხვევისათვის“ ათობით და ასობით რიცხავდე პარტიიდან ყველას, ვინც ხელში მოგხვდება“.

პარტია კომუნისტებისათვის დიდი და სერიოზული საქმე გახდა. „პარტიის რიგითი წევრებისათვის პარტიაში ყოფნა ან პარტიიდან გარიცხვა, — ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ (სტალინი). აი რატომ არის, რომ ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებში წამოყენებულია აუცილებლობა — შევსებულ იქნას წესდება მთელი რიგი დებულებებით, რომლებმაც უნდა:

„ა) უზრუნველჰყონ პარტიის წევრისადმი ყურადღებით მიდგომა და გულმოდგინედ გარჩევა იმისა, თუ რამდენად დასაბუთებულია მისთვის წაყენებული ბრალდებანი;

ბ) დაიცვან პარტიის წევრთა უფლებები ყოველგვარი თვითნებობისაგან;

გ) აღკვეთონ პარტიიდან გარიცხვის გამოყენება, რაც პარტიული სასჯელის უმაღლეს ზომას წარმოადგენს, პარტიის იმ წევრებისადმი, რომლებსაც მცირემნიშვნელოვანი დანაშაული ჩაუდენიათ“.

საკ. კ. პ. (ბ) წესდება ახაზავს პარტიის ახალ ღონისძიებებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში გატარებულ იქნა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ მობრუნებასთან დაკავშირებით. შინაპარტიული დემოკრატიის უთუო გატარება ცხოვრებაში — აი რას ემყარებოდა პარტიული მუშაობის პრაქტიკის გარდაქმნა. პარტიამ მოსპო დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლების დარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა პარტიული მუშაობის პრაქტიკაში, და პარტიის წესდების შესაბამისად აღადგინა პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა. გასული პერიოდი იყო პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის უმაგალითო ამაღლების პერიოდი, და ეს ამაღლება უნდა განვამტკიცოთ და კიდევ უფრო განვავითაროთ!

XVIII ყრილობა დიდ ყურადღებას მიაქცევს სწორ ორგანიზაციას პარტიული აპარატისას, რომლის როლი და მნიშვნელობა ახლა კიდევ უფრო მეტი ძალით იზრდება. **ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება ცენტრალურ ამოცანებად რჩება ორგანიზაციულ მუშაობაში.** ამ მიზნით საჭიროა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში იყოს კადრების დამოუკიდებელი სამმართველო, რომელიც გააერთიანებს მუშაობას ყველა დარგის კადრების ხაზით. პარტიულ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საკითხები გადავა სპეციალურ საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში. მომწიფდა საჭიროება შეიცვალოს აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის მუშაობის ხასიათიც იმ მიმართულებით, რომ გაძლიერდეს კონტროლი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი და სისტემატურად ხდებოდეს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შემოწმება. პარტიის წევრთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების ამოცანა მოითხოვს პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის ყოველნაირად გაძლიერებას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამისთვის უნდა ჰქონდეს მძლავრი აპარატი— პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველო, რომლის ხელში თავმოყრილი იქნება მთელი მუშაობა ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდისა და აგიტაციის ხაზით. მომწიფდა აგრეთვე რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების სტრუქტურის შეცვლის საჭიროებაც.

პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სწრაფი ტემპი საჭიროდ ხდის პარტიის ცენტრალური ორგანიზაციების არსებული სქემის დამატებას. არსებულ სქემას — პარტიის ყრილობა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — დაემატება ახალი ორგანო: სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენცია, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას წელიწადში ერთხელ მაინც პარტიის პოლიტიკის მომწიფებული საკითხების განსახილველად. სრულიად - საკავშირო კონფერენციას უნდა მიეცეს უფლება გამოიყვანოს ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნაწილი, რომელნიც არ უზრუნველჰყოფენ თავის მოვალეობათა შესრულებას, და შესცვალოს ისინი სხვებით. სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის დაარსება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო სწრაფად გამოვეხმაუროთ იმ საკითხებს, რომლებსაც ცხოვრება გვიყენებს, და დროულად გადავჭრათ მომწიფებული საკითხები ჩვენი პარტიის უდიდესი კოლექტიური გამოცდილების სრული გათვალისწინებით.

ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისები მთელი ძალით უსვამენ ხაზს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, მათ უნარს სწორად შეახამონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მეურნეობის განვითარებისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლასთან. საწარმოო ტიპის პარტიულ ორგანიზაციას უნდა მიეცეს უფლება კონტროლი გაუწიოს საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის ან კოლმეურნეობის საქმეთა მდგომარეობას. ამგვარად, პირველადი პარტიული ორგანიზაცია გააძლიერებს თავის როლს სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყრილობის წინა დოკუმენტები მთელი სისრულით ასახავენ იმ მჩქეფარე და მრავალმხრივ საქმიანობას, რომელსაც ჩვენი პარტია ეწევა. ეს დოკუმენტები აღაფრთოვანებენ ყველა მშრომელთ მათს ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს მტკიცედ მიჰყავს მთელი ჩვენი ხალხი ახალი წარმატებებისაკენ, ახალ გამარჯვებათაკენ. ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვა პარტიულ ორგანიზაციებში, რისკენაც ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს, ახალ ენერგიას შეგვმატებს, საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ძვირფასი წინადადებანი, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ყრილობას მის მუშაობაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მომავალი კრებები, რაიონული და საოლქო პარტიული კონფერენციები, რომელთა მოწვევის წესი განსაზღვრულია ცენტრალური კომიტეტის მიერ, ჩატარდება სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო კომუნისტთა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვის ნიშნით. ლენინ-სტალინის პარტია ეგებება თავის XVIII ყრილობას, ცხადჰყოფს რა მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი რიგების ერთიანობას და მჭიდროდ დარაზმულობას, თავის მძლავრ ნებისყოფას კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

„პრავდის“ მოწინავე, 2/II.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი აღფრთოვანებით ემზადებიან ლენინ-სტალინის დიდი პარტიის XVIII ყრილობისათვის

გავშალოთ XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება

გული სიხარულით აგვივსო ცნობამ 10 მარტისათვის ბოლშევიკების პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში დაიწყო ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა. ქარხნის კოლექტივს სურს თავისი სიხარული და ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობები გამოხატოს კონკრეტული საქმეებით.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები გამსჭვალული არიან სურვილით პარტიას, დედა-სამშობლოს, დიდ სტალინს მიუძღვნან ახალი საწარმოო გამარჯვებები.

ქარხნის საუკეთესო ადამიანების შეგნებაში უკვე წინასწარ მიტინგებზე მომწიფდა ის აზრი, რომ ჩვენი ქარხანა პარტიის XVIII ყრილობას შეხვდეს 1939 წლის პირველი კვარტალის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით და ეს უმნიშვნელოვანესი თარიღი სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრებაში აღნიშნოს ბრწყინვალე საწარმოო გამარჯვებებით.

ჩვენი ქარხნის საამქროები, ბრიგადები, სტახანოველები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, რომ რაც შეიძლება ღირსეულად აღნიშნონ ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში.

ქარხნის კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას პირველ კვარტალში გეგმის ზევით გამოუშვას:

1) 50 ავტომანქანა,
2) 231 ავტომოტორი,
3) 13 ახალი ავტობუსი,
4) 31 ახალი „პიკაპის“ სისტემის მანქანა,
5) 5 ავტობუსი კაპიტალური რემონტიდან.

ქარხნის მოწინავე სტახანოველი ამხ. სიმონიანი კისრულობს ვალდებულებას XVIII ყრილობას საჩუქრად მიუძღვნას ერთი მანქანა „ლიუქსი“ კაპიტალურად შეკეთებული.

სტახანოველი არშაკ ნონიკოვი, რომელიც აქამდე გეგმას ასრულებდა 500 პროცენტით, პირობას იძლევა ნორმა შეასრულოს 600 პროცენტით. სტახანოველი მუხიბულაშვილი იძლევა სიტყვას, რომ მისი ბრიგადა გეგმას შეასრულებს 400 პროცენტით.

სტახანოველები შ. იბრალიძე და გ. ცაბაევი კისრულობენ გამოუშვან გეგმის ზევით ავტომანქანის 231 მოტორი. ამ რეკორდს სტახანოველები უძღვნიან ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს.**

ჩვენი ქარხნის ადამიანებს კარგად ესმით, რომ გეგმის ზევით გამოშვებული თვითეული ავტომანქანა, თვითეული მოტორი განამტკიცებს სოციალიზმის ქვეყნის სამხედრო ძლიერებას და ლახვარს ჩასცემს ომის გამჩაღებლებს.

ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი მოუწოდებს საწარმოებს მხურვალედ გამოეხმაურონ მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ წინადადებას, ჩაებან წინასაყრილობო ურთიერთგამოძახებაში, გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ქარხნებსა, ფაბრიკებსა და დაწესებულებებს შორის.

ჩვენ ვიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანას და ხარკოვის ავტოსარემონტო ქარხანას.

სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლით, სტახანოვური შრომის კოლექტიური ორგანიზაციით, შრომის დისციპლინის განმტკიცებით ჩვენი კოლექტივი შესძლებს აღებულ ვალდებულებათა შესრულებას და მოიპოვებს უფლებას გაუგზავნოს გამარჯვების პატაკი XVIII ყრილობას.

წერილის ტექსტი მიღებულია საქარხნო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 1000-მდე კაცი.

ჭიათურის მაღაროელთა ვალდებულებანი

(ჭიათურა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნა დანიშნულია 10 მარტისათვის.

ლენინის სახელობის მაღაროს პირველი ცვლის სტახანოველმა მნგრეველმა ამხ. ვ. მეგრელიშვილმა აიღო ვალდებულება — ყოველდღიური გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით, სტახანოველმა მემანქანემ ნ. ცარციძემ კი იკისრა გეგმა შეასრულოს 210 პროცენტით. ასეთივე ვალდებულებები აიღეს შ. ზაქარიაძემ, მ. ბოლოკიამ და სხვებმა.

უბნის გამგემ ამხ. პ. ჩანჩიძემ აიღო ვალდებულება, რომ მისი უბანი თებერვლის საწარმოო გეგმას შეასრულებს 110 პროცენტით. ამავე მაღაროს მეორე ცვლის ბრიგადას ეწოდა XVIII ყრილობის სახელობის ბრიგადა. ბრიგადის სტახანოველმა მუშებმა ამხ. ი. ასანიძემ, გ. სამხარაძემ და სხვებმა აიღეს კონკრეტული საწარმოო ვალდებულებანი. ლენინის სახელობის მაღარომ აიღო ვალდებულება 10 მარტისათვის ქვეყანას გეგმის ზევით მისცეს 2000 ტონა მარგანეცი.

ახალი საწარმოო აღმავლობით ხვდებიან პარტიის XVIII ყრილობის გახსნას სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მუშებიც. მაღაროს სტახანოველებმა ა. დარსაველიძემ, პ. ტყემალაძემ და ს. ჯღამაძემ აიღეს ვალდებულება ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით მიაღწიონ სარეკორდო მაჩვენებლებს.

სტალინის სახელობის მაღაროს ბრიგადებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მაგალითად, პირველი ცვლის 1, 2, 3 და 4 ბრიგადებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ამავე მაღაროს მეორე ცვლის 5, 6 და 7 ბრიგადები.

პარტიის XVIII ყრილობისათვის ასეთივე საჩუქრების მომზადება იკისრეს ვოროშილოვის, დიმიტროვის და ბერიას სახელობის მაღაროების მაღაროელებმა.

ლ. ლოლაძე

კოლმეურნეობები ჩაებნენ წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში

(ზუგდიდი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდის რაიონის კომუნისტები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია—ყველა მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

რაიონის მოწინავე ადამიანები, სტახანოველები ჩაებნენ XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და აიღეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი. ლ. ბერიას სახელობის ჩაის ფაბრიკის სტახანოველმა ამხ. გოგუცა გაბისონიამ იკისრა თებერვლის გეგმის 250 პროცენტით შესრულება, ელექტროგაყვანილობის უფროსმა ამხ. ჯღერიამ—70 ძრავის რემონტის 1 თვით ადრე დამთავრება და 4 გენერატორის რემონტის დამთავრება 10 მარტისათვის; გაზ. „მებრძოლის“ სტამბის სტახანოველმა მარო კობახიძემ იკისრა ყოველდღიური დავალების 150 პროცენტით შესრულება და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ვალენტინა ბეჭვაია.

ენგურქაღალდკომბინატის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა იკისრა ქაღალდის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს 10 მარტისათვის. ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ნარაზენისა და ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. და იკისრეს ვალდებულებანი მაღალხარისხოვნად ჩაატარონ ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები. ორსანტიის მილიონერმა კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და იკისრა საგაზაფხულო თესვის კამპანიის მაღალი მაჩვენებლებით ჩატარება. სოცშეჯიბრებაში უკვე ჩაბმულია რაიონის 25 კოლმეურნეობა.

ს. ებრალიძე

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის წინ

ბოლშევიკების პარტია თავის XVIII ყრილობას ეგებება, მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ცხოვრობს ყრილობისათვის მზადების ნიშნით. ამას მჭერმეტყველურად მოწმობს უდიდესი პოლიტიკური ენთუზიაზმი მუშათა კლასში, კოლმეურნე გლეხობაში და საბჭოთა ინტელიგენციაში. თვითეული საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და დაწესებულება ცდილობს მომავალი ყრილობა აღნიშნოს სანიმუშო მუშაობით, თავისი გეგმებისა და პროგრამების სოციალისტური შესრულებით.

30 იანვარს გამოქვეყნდა თეზისები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დღის წესრიგის მეორე საკითხზე— ამხანაგი ვ. მოლოტოვის მოხსენებაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს თეზისები მოკლედ აღნუსხავენ მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა სამშობლომ ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობის შემდეგ განვლილი ხუთი წლის განმავლობაში. თეზისები მოხსენებისა მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გვიხატავენ სოციალისტური მეურნეობის შემდგომი გრანდიოზული ზრდისა და მშრომელი მასების კეთილდღეობის ამაღლების დიდებულ სურათს.

დღეს ქვეყნდება თეზისები XVIII ყრილობის დღისწესრიგის მესამე საკითხზე — ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის მოხსენებაზე საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში ორი ძალა—ხალხი და კომუნიზმი — ერთ მთელად შედუღდა. კომუნიზმის დიადი საქმე მთელი ხალხის საქმედ გადაიქცა. აქედან გამომდინარეობს საბჭოთა ხალხის უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი მჭიდროდ დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო. კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა მთელი ხალხის ავანგარდად, მოწინავე რაზმად. ამ მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას სავსებით და მთლიანად ასახავენ თეზისები ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისები განსახილველად დასვას პარტიულ კრებებზე და პრესაში.

დღეიდან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „პრავდასთან“ გამოდის „სადისკუსიო ფურცელი“, რომელშიაც დაიბეჭდება კრიტიკული სტატიები, შესწორებანი და კონკრეტული წინადადებანი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაკეთებელ მოხსენებათა გამოქვეყნებული თეზისებისათვის.

თეზისების განხილვის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ ყრილობას გამოიტანოს დადგენილებანი, რომლებშიაც მაქსიმალური სისრულით იქნება ასახული ჩვენი პარტიის, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის უდიდესი გამოცდილება. გამოცდილება ლენინ-სტალინის პარტიისა, ახალი ტიპის პარტიისა, მსოფლიოში ერთადერთი პარტიისა, რომელმაც თავისი ხალხი სოციალიზმამდე მიიყვანა, უდიდესია!

პარტიის ყრილობა ისტორიული ნიშანსვეტია, უდიდესი მოვლენაა მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ბოლშევიკების პარტია, რომელიც ძლიერია თავისი კავშირით ხალხის უფართოეს ფენებთან, ეგებება თავის XVIII ყრილობას, რომელიც კომუნიზმის შემდგომ, კიდევ უფრო ბრწყინვალე , გამარჯვებებს მოასწავებს.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა“ — თეზისებისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენების — „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“ — თეზისების განხილვა პარტიულ კრებებზე და პრესაში საშუალებას მისცემს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას თავის გადაწყვეტილებებში გაითვალისწინოს ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის უდიდესი კოლექტიური გამოცდილება.

(სადისკუსიო ფურცელი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის, № 1, „პრავდა“, 1 თებერვალი).

ტყიბულის მაღაროელები ემზადებიან

(ტყიბული, საკ. კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის მაღაროების სტახანოველები საწარმოო ენთუზიაზმის ახალი აღმავლობით ხვდებიან პარტიის XVIII ყრილობას.

ლენინის სახელობის მაღაროში შეიქმნა პარტიის XVIII ყრილობის სახელობის ბრიგადა, რომელსაც საუკეთესო სტახანოველი მნგრეველი ამხ. ალ. დარსაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ აიღო ვალდებულება პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს 10 მარტამდე, ხოლო ქვანახშირის მონგრევის წლიური გეგმა — 7 თვეში. ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს ამხ. ვ. ხუჯაძემ (ცვლის უფროსი), კ. დიაკონიძემ (მნგრეველი), ა. საფარიანმა (მტვირთავი), გ. ფანჩულიძემ (მოწინავე ტექნიკოსი), ი. კოვალიოვმა და სხვ.

სტალინის სახელობის მაღაროში ჩამოყალიბდა 2 სტახანოვური ბრიგადა (ბრიგადირები ვ. კუზმინი და შ. ფურცხვანიძე), რომლებმაც აიღეს ახალი ვალდებულებები საწარმოო დავალების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულების შესახებ.

ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მაღაროელი ი. კუზმინი ხელმძღვანელობს, ვალდებულება აიღო ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ დაწესებული ნორმა — დღეღამეში 2,7 მეტრი წინსვლა — აიყვანოს 3 მეტრ და 20 სანტიმეტრამდე, რითაც იგი XVIII პარტყრილობის გახსნის დღეს — 10 მარტს გადაკვეთავს ქვანახშირის ხაზს და ახალი შახტიდან პირველად მოგვცემს ქვანახშირს.

ბრიგადის სახელით შ. ფურცხვანიძემ ვალდებულება აიღო XVIII პარტიული ყრილობის მოწვევის დღისათვის 6 თვის გეგმა შეასრულოს 2 თვესა და 10 დღეში.

ახლადშექმნილი ბრიგადები ახალი საწარმოო ენტუზიაზმით შეუდგნენ XVIII პარტყრილობისათვის საჩუქრების მომზადებას.

დ. საბელაშვილი

კოლმეურნეთა საჩუქარი

თბილისის რაიონის ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის 10 მარტს მოწვევის შესახებ.

საერთო კრებაზე, რომელზეც ეს საკითხი დამუშავდა, კოლმეურნეებმა მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს. სტახანოველმა ბრიგადირებმა ვ. მელქაძემ, გ. ეფრემიძემ, გ. კლაჯეიშვილმა, კ. თურმანიძემ, კ. ეფრემიძემ, ა. კოპალეიშვილმა და სხვებმა აიღეს ვალდებულება — ყრილობის გახსნის დღის — 10 მარტისათვის თბილისის მშრომელებს მიაწოდონ 130 ტონა ახალი ბოსტნეული.

აკ. კარტოზიამ და ა. ტაბატაძემ კოლმეურნეობის სახელით აიღეს ვალდებულება — წელს 6 ჰექტარის ნაცვლად გააშენონ ხეხილის ბაღი 7 ჰექტარზე, ჩაატარონ ხეხილის ბაღის რემონტი 45 ჰექტარზე და ვენახის რემონტი 17 ჰექტარზე.

კოლმეურნენი ენერგიულად შეუდგნენ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. სწმენდენ თესლს, წესრიგში მოჰყავთ გამწევი ძალა, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რათა მიმდინარე წელს მიიღონ კიდევ უფრო უხვი და ბარაქიანი საკოლმეურნეო მოსავალი.

ა. კერონიძე

გამოვიდა თეზისები ამხანაგ მოლოტოვისა და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკეულ ბროშურად გამოსცა თეზისები ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, ძირითადად მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ, — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა“ (1938-1942 წ. წ.).

ბროშურა გამოდის მასობრივი ტირაჟით — სამი მილიონ ცალად.

დღეს გამოდის აგრეთვე ცალკეულ ბროშურად თეზისები ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, ძირითადად მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ, — „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“. ბროშურის ტირაჟია 3 მილიონი ცალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოსკოვის კინოსტუდიის „მოსფილმის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით მოსკოვის კინოსტუდია „მოსფილმი“ თავისი იდეურ-მხატვრული და ტექნიკური ღირსებით შესანიშნავი კინოფილმების გამოშვებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 1 თებერვალი.

„დალსტროის“ მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 1 თებერვლის ბრძანებულებით „დალსტროის“ ხაზით წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოებულია „დალსტროის“ 252 მუშაკი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია საბადოს მთავარი ინჟინერი ვასილ ფილიპეს-ძე **დუბროვსკი**, სამადნოს უფროსი ნიკოლოზ ივანეს-ძე **კარპენკო**, საბადოს მთავარი ინჟინერი პეტრე აკიმის-ძე **ნაუმოვი**, „დალსტროის“ მთავარ სამმართველოს უფროსი კარპ ალექსანდრეს-ძე **პავლოვი**, საბადოს მთავარი ინჟინერი ალექსანდრე გრიგოლის-ძე **პრუნი**, სამთო სამმართველოს უფროსი ვასილ არკადის-ძე **ფლოროვი**.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 25 კაცი. **წითელი ვარსკვლავის** ორდენით —26 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით—44 კაცი.

მედალით **„შრომითი მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია 81 კაცი. მედალით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 70 კაცი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირისა და მანჯურიის საზღვარზე მომხდარ შეტაკებათა შესახებ

ამ უკანასკნელ ხანს კვლავ გახშირდა საბჭოთა ტერიტორიაზე იაპონელ მანჯურთა გადმოსვლისა და ამასთან აუცილებელ შეტაკებათა შემთხვევები. ყველაზე დიდი შეტაკება მოხდა 31 იანვარს კაილასტუევსკაია სადარაჯოს მახლობლად. როდესაც საბჭოთა მესაზღვრე რაზმს 5 მებრძოლის შემადგენლობით, რომელსაც უმცროსი ლეიტენანტი კოსტინიუკი მეთაურობდა უეცრად თოფი და ტყვიამფრქვევი დაუშინა 18 ჯარისკაცისაგან შემდგარმა იაპონელ-მანჯურთა ჯგუფმა, რომელიც განლაგებული იყო სსრ კავშირის კუთვნილ № 279 კუნძულზე, მდინარე არგუნზე შენაკად გურანის შესართავთან, დაბა კაილასტუევსკის სამხრეთით, 5 კილომეტრის მანძილზე. მესაზღვრე რაზმი იძულებული გახდა სროლით ეპასუხნა იაპონელ-მანჯურთათვის და მან მოსული დამხმარე ძალის შემწეობით მოახერხა გაეძევებინა კუნძულიდან იაპონელ-მანჯურნი, რომლებმაც თან წაიყვანეს 7 დაჭრილი. საბჭოთა მხარეზე მსუბუქად არის დაჭრილი განყოფილების მეთაური კალიტინი.

სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულს ტოკიოში დავალებული აქვს სასტიკი პროტესტი განუცხადოს იაპონიის მთავრობას, მიუთითოს მას იაპონელ-მანჯურელთა მიერ საზღვრის დარღვევის შემთხვევათა გახშირებაზე და გააფრთხილოს შესაძლებელი შედეგების შესახებ.

(საკდესი).

სასამართლო

მტრის თავდასხმა

1 თებერვალს, სასამართლოს ღია სხდომაზე, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალი დივიზიის სამხედრო იურისტის ამხ. გორიაჩოვის თავმჯდომარეობით შეუდგა მოსკოვის „მოსტპლასტკოჟის“ № 2 ქარხნის ყოფილი ზეინკლის ს. ვ. მოროზოვის საქმის გარჩევას.

ბრალდებული მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-8 მუხლის მიხედვით (ტერორისტული აქტის მოხდენა).

ბრალდებას მხარს უჭერს მოსკოვის სამხედრო ოლქის პროკურორი ბრიგადის სამხედრო იურისტი ამხ. დეევი, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. ჩერკასოვი.

საქმის გარემოება ასეთია: 5 იანვარს მოროზოვი მთვრალი მივიდა სამუშაოზე. საამქროს უფროსის მოადგილემ ამხ. გრიგორიევმა იგი სამუშაოდან მოხსნა. შეეცადა რა დაეშინებინა საამქროს ადმინისტრაცია, რომელიც შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის იბრძვის, მოროზოვმა მძიმედ დააშავა გრიგორიევი. სასამართლო გამოძიებამ გამოარკვია, რომ მოროზოვი უკვე არაერთხელ იყო გასამართლებული ხულიგნობისათვის, მრავალი საწარმოდან იყო დათხოვნილი შრომის დისციპლინის ბოროტად დარღვევისათვის.

პროკურორის კითხვაზე: „მოსკოვის რომელ ქარხნებში მუშაობდით?“, მოროზოვი უტიფარ პასუხს იძლევა: „ყველას რა მომაგონებს“. მტრის საქციელმა მშრომელთა ღრმა აღშფოთება გამოიწვია. სასამართლოს სხდომას, რომელიც კალინინის სახელობის ქარხნის კლუბში მიმდინარეობს, 700-მდე კაცი ესწრება.

2 თებერვალს სასამართლოს სხდომა გრძელდებოდა. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კინემატოგრაფიის იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი

დაჯილდოებულ იქნან კინემატოგრაფიის შემდეგი მუშაკები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

ლენინის ორდენით

1. **ს. მ. ეიზენშტეინი** — კინოსურათის „ალექსანდრე ნეველის“ რეჟისორი.
2. **ა. ივანოვი** — კინოსურათის „საზღვარზე“ რეჟისორი.
3. **გ. ვ. ალექსანდროვი** — კინოსურათის „ვოლგა-ვოლგას“ სცენარისტი და რეჟისორი, რომელიც წინათ „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით იყო დაჯილდოებული.
4. **ნ. კ. ჩერკასოვი** — მსახიობი, რომელმაც ალექსის, ალექსანდრე ნეველის და მ. გორკის როლები შეასრულა კინოსურათებში „პეტრე I“, „ალექსანდრე ნეველი“ და „ლენინი“.
5. **ლ. პ. ორლოვა** — წერილის დამტარებელი ქალის როლის შემსრულებელი კინო-სურათში „ვოლგა-ვოლგა“, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით

1. **ა. უ. კურიანოვი** — სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მხატვრული კინოსურათების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსი.
2. **კ. ა. პოლონსკი** — კინოსტუდიის „მოსფილმის“ დირექტორი.
3. **დ. ი. ვასილიევი** — კინოსურათის „ალექსანდრე ნეველის“ მეორე რეჟისორი.
4. **გ. მ. კოზინცევი** — კინოსურათის „ვიბორგის მხარის“ სცენარის ავტორი და რეჟისორი, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.
5. **ლ. ზ. ტრაუბერგი** — კინოსურათ „ვიბორგის მხარის“ სცენარის ავტორი და რეჟისორი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული.
6. **მ. ჭიაურელი** — კინოსურათ „დიადი განთიადის“ სცენარის ავტორი და რეჟისორი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული.
7. **ს. ვ. დოლიძე** — კინოსურათ „დარიკოს“, „უკანასკნელი ჯვაროსნების“ და სხვ. რეჟისორი.
8. **ნ. მ. შენგელაია** — კინოსურათ „26 კომისრის“, „ნარინჯის ველის“, „ელისოს“ რეჟისორი.
9. **მ. დონსკოი** — კინოსურათ „გორკის ბავშვობის“ რეჟისორი.
10. **ს. ი. იუტკევიჩი** — კინოსურათ „თოფიანი კაცის“ რეჟისორი.
11. **გ. როშალი** — კინოსურათ „ოპენგეიმების ოჯახის“ რეჟისორი.
12. **გ. ცაგარელი** — კინოსურათ „დიადი განთიადის“ სცენარის ავტორი.
13. **ი. გრუზდევი** — კინოსურათ „გორკის ბავშვობის“ და „ხალხში“ სცენარის ავტორი.
14. **ე. ტისე**—კინოსურათ „ალექსანდრე ნეველის“ ოპერატორი.
15. **ვ. იაკოვლევი** — კინოსურათ „პეტრე I“ ოპერატორი.
16. **ა. სიგაევი** — კინოსურათ „ჩაპაევის“ და „ვოლოჩაევის დღეების“ ოპერატორი.
17. **ვ. რაპოპორტი** — კინოსურათ „საზღვარზე“, „ოქროს მთების“ და „მეგობარი ქალების“ ოპერატორი.
18. **ა. მოსკვინი** — კინოსურათ „ვიბორგის მხარის“ ოპერატორი.
19. **ა. დიღმელოვი** — კინოსურათ „დიადი განთიადის“ ოპერატორი.
20. **ლ. კოსმატოვი** — კინოსურათ „ოპენგეიმების ოჯახის“ ოპერატორი.
21. **ბ. პ. ჩირკოვი** — კინოსურათ „ვიბორგის მხარეში“ მაქსიმის როლის შემსრულებელი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული.
22. **მ. შტრაუხი** — მსახიობი, ვ. ი. ლენინის როლის შემსრულებელი კინოსურათებში „თოფიანი კაცი“ და „ვიბორგის მხარე“.
23. **მ. გელოვანი** — მსახიობი, ი. ბ. სტალინის როლის შემსრულებელი კინოსურათებში „დიადი განთიადი“, „თოფიანი კაცი“ და „ვიბორგის მხარე“.
24. **კ. მიუფკე** — მსახიობი, ვ. ი. ლენინის როლის შემსრულებელი კინოსურათ „დიად განთიადში“.
25. **ა. აბრიკოსოვი** — მსახიობი. გავრილო ოლექსიჩის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ალექსანდრე ნეველში“.
26. **ი. ილინსკი** — მსახიობი. ბირკალოვის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ვოლგა-ვოლგაში“.
27. **ვ. ვოლოდინი** — მსახიობი, ლოცმანის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ვოლგა-ვოლგაში“.
28. **ს. მეჟინსკი** — მსახიობი. პროფესორ მამლოკის როლის შემსრულებელი ამავე სახელწოდების კინოსურათში.
29. **ვ. ო. მასალიტინოვა** — მსახიობი, დიდედის როლის შემსრულებელი კინოსურათ „გორკის ბავშვობაში“ და ამელფა ტიმოთეოსულის როლისა — კინოსურათ „ალექსანდრე ნეველში“.
30. **ვ. ლ. ერშოვი** — მსახიობი ტევტონთა ორდენის მაგისტრის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ალექსანდრე ნეველში“.
31. **ზ. ფედოროვა** — მსახიობი. ვარვარას როლის შემსრულებელი კინოსურათში „საზღვარზე“.
32. **ნ. კრიუჩკოვი**—მსახიობი, სანაპირო უბნის კომენდანტის როლის შემსრულებელი კინოსურათში „საზღვარზე“.
33. **ლ. ს. ლიუბაშევსკი** — მსახიობი, ი. მ. სვერდლოვის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ვიბორგის მხარეში“.
34. **ნ. მ. უჟვი** — მსახიობი, ევდოკიას როლის შემსრულებელი კინოსურათ „ვიბორგის მხარეში“.
35. **ი. ზარუბინა** — მსახიობი. ეფროსინეს როლის შემსრულებელი კინოსურათში „პეტრე I“.
36. **ბ. მ. ტენინი** — მსახიობი, ივანე შადრინის როლის შემსრულებელი კინოსურათ „თოფიან კაცში“.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ი. ანცელოვიჩი** — კინოსურათ „თოფიანი კაცის“ დირექტორი.
2. **მ. ს. შოსტაკი** — კინოსურათ „ვიბორგის მხარის“ დირექტორი.
3. **მ. ტარგანცევა** — დირექტორი კინოსურათებისა „გორკის ბავშვობა“ და „ხალხში“.
4. **პ. ერმოლოვი** — კინოსურათ „გორკის ბავშვობის“ ოპერატორი.
5. **ჟ. კ. მარტოვი** — კინოსურათ „თოფიანი კაცის“ ოპერატორი.
6. **ვ. ბოგდანოვიჩი** — კინოსურათ „ალექსანდრე ნეველის“ გახმოვანების ოპერატორი.
7. **ე. ტიაპკინა** — მსახიობი, სტეპანიდა ელასოვას როლის შემსრულებელი კინოსურათში „საზღვარზე“.
8. **ს. კრილოვი** — მსახიობი, ანტონ მიხალკოვის როლის შემსრულებელი კინოსურათში „საზღვარზე“.
9. **ნ. ვინოგრადოვი** — მსახიობი, პაპა ეროფეის როლის შემსრულებელი კინოსურათში „საზღვარზე“.
10. **ლ. ა. ფენინი** — მსახიობი, ეპისკოპოსის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ალექსანდრე ნეველში“.
11. **დ. ნ. ორლოვი** — მსახიობი, იგნატის როლის შემსრულებელი კინოსურათ „ალექსანდრე ნეველში“.
12. **ვ. ივაშევა** — მსახიობი, ოლგას როლის შემსრულებელი კინოსურათ „ალექსანდრე ნეველში“.
13. **ს. კაიუკოვი** — დემიდის როლის შემსრულებელი კინოსურათ „მაქსიმეს ყრმობაში“.
14. **ა. ი. კუზნეცოვი** — მსახიობი. ტურაევის როლის შემსრულებელი კინოსურათებში „მაქსიმეს ყრმობა“, „მაქსიმეს დაბრუნება“ და „ვიბორგის მხარე“.
15. **ი. ვ. ტოლუბეევი** — მსახიობი, კინოსურათ „ვიბორგის მხარეში“ ბუგაის როლის შემსრულებელი.
16. **დ. მ. დუდნიკოვი** — მსახიობი, კინოსურათ „ვიბორგის მხარეში“ როპშინის როლის შემსრულებელი.
17. **ვ. ჟუკოვსკი** — მსახიობი, კინოსურათ „ვიბორგის მხარეში“ ვექილის როლის შემსრულებელი.
18. **ტ. მაკაროვა** — მსახიობი ქალი, კინოსურათ „დიად განთიადში“ სვეტლანას როლის და კინოსურათ „კომსომოლსკში“ ნატალიის როლის შემსრულებელი.
19. **ი. ხ. ნოვოსელცევი**—მსახიობი, კინოსურათ „საზღვაო საგუშაგოში“ საგუშაგოს უფროსის როლის შემსრულებელი.
20. **მ. ტროიანოვსკი** — მსახიობი, კინოსურათ „გორკის ბავშვობაში“ პაპის როლის შემსრულებელი.
21. **მ. ბერკესი** — მსახიობი, კინოსურათ „თოფიან კაცში“ კოსტია ქიგილიოვის როლის შემსრულებელი.
22. **ვ. ა. ლუკინი** — მსახიობი, კინოსურათ „თოფიან კაცში“ ჩიბისოვის როლის შემსრულებელი.
23. **ი. ს. პელტცევა** — მსახიობი ქალი. მემანქანის როლის შემსრულებელი კინოსურათ „პატიოსნებაში“ და სხვ.
24. **ო. ფ. გლაზუნოვი** — მსახიობი, კინოსურათ „პატიოსნებაში“ მემანქანის როლის შემსრულებელი.
25. **გ. ნ. ნერსესიანი** — მსახიობი, კინოსურათ „ზანგეზურში“ აკოპიანის როლის შემსრულებელი.
26. **ავეტ ავეტიანი** — მსახიობი, კინოსურათ „ზანგეზურში“ სპარაპეტის როლის შემსრულებელი.
27. **ი. პერესტიანი** — მსახიობი. კინოსურათ „უკანასკნელ მასკარადში“ და „დიად განთიადში“ გენერლის როლის შემსრულებელი.
28. **ი. ჟეიმო** — მსახიობი ქალი, კინოსურათ „მეგობარ ქალებში“, „მტრებში“ და სხვ. როლების შემსრულებელი.
29. **ვ. გარდინი** — მსახიობი, კინოსურათ „იუდუშკა გოლოვლიოვებში“ იუდუშკას როლის შემსრულებელი და კინოსურათ „მტრებში“ გენერალ პეჩენეგოვის როლის შემსრულებელი.
30. **ე. გარინი** — მსახიობი, კინოსურათში „საზღვარზე“ ვოლკოვის როლის შემსრულებელი.
31. **ი. ლავროვი** — მსახიობი, კინოსურათში „საზღვარზე“ კუმატის როლის შემსრულებელი.
32. **რზა აფგაილი** — მსახიობი, კინოსურათ „ბაქოელებში“ ჯაფარის როლის შემსრულებელი.
33. **ა. ტუტიშკინი** — მსახიობი, კინოსურათ „ვოლგა-ვოლგაში“ ბუხჰალტრის როლის შემსრულებელი.
34. **ა. ი. ანჯანი** — კინოსურათების „პეტრე I“, „თოფიანი კაცის“, „ვიბორგის მხარის“ და სხვ. მხატვარი - გრიმიორი.
35. **ზ. ვახტანგიშვილი** — სურათ „დიადი განთიადის“ მხატვარი-გრიმიორი.
36. **შ. მამალაძე** — კინოსურათ „დიადი განთიადის“ მხატვარი.
37. **ე. გაბრიელი** — კინოსურათ „დიადი განთიადის“ ასისტენტი-მემონტაჟე.
38. **ე. ტობაკი** — კინოსურათ „ალექსანდრე ნეველის“ ასისტენტი-მემონტაჟე.
39. **ვ. ს. მირონოვი** — კინოსურათ „თოფიანი კაცის“ მემონტაჟე.
40. **ა. ს. განშინი** — განსაკუთრებული დანიშნულების კინოთეატრის მექანიკოსი.
41. **ა. ი. დობრიაკოვი** — მოსკოვის კინოთეატრ „როდინას“ მექანიკოსი.
42. **ნ. ა. კირიანოვი** — მოსკოვის კინოთეატრ „ვოსტოკკინოს“ მექანიკოსი
43. **პ. ს. ივანოვი** — ლენინგრადის კინოთეატრ „სმენას“ მექანიკოსი.
44. **უ. კ. ისაევა** — მოსკოვის ოლქის კინომექანიკოსი.
45. **ნ. ნ. მარკოვი** — ლენინგრადის ოლქის კინომექანიკოსი.
46. **კასუმოვ-მინგი** — დაღისტნის ასსრ კინომექანიკოსი.
47. **ტ. უტკინი** — რიაზანის ოლქის კინომექანიკოსი.
48. **ს. ტ. პოგონეცი** — ოდესის ოლქის კინომექანიკოსი.
49. **ლ. მ. ოსტროვსკი**—სტალინის ოლქის კინომექანიკოსი.
50. **ი. დ. ბუტეროვი**—ბელორუსიის სსრ კინომექანიკოსი.
51. **ავეტიკ მელიქიანი** — სომხეთის სსრ კინომექანიკოსი.
52. **ვ. ს. გონჩაროვი** — ტაჯიკეთის სსრ კინომექანიკოსი.
53. **ა. როზნევა** — თურქმენეთის სსრ კინომექანიკოსი.
54. **გ. ა. მელიქიშვილი** — საქართველოს სსრ კინომექანიკოსი.
55. **ნ. მ. რაზბიანსკი** — ივანოვოს ოლქის კინომექანიკოსი.
56. **გ. ფ. ხრაბროვი** — ირკუტსკის ოლქის კინომექანიკოსი.
57. **მ. ი. ბელობოროდოვი**—მოსკოვის ოლქის კინომექანიკოსი.
58. **მ. ფ. მირონოვი** — არხანგელსკის ოლქის კინომექანიკოსი.
59. **გ. ა. პოზდეევი** — უდმურტეთის ასსრ კინომექანიკოსი.
60. **ა. მ. ბოლოტოვი** — სვერდლოვსკის ოლქის კინომექანიკოსი.
61. **კ. ს. ბურმაკინი** — კრასნოიარსკის მხარის კინომექანიკოსი.
62. **ვ. ტ. კოჟინი** — გორკის ოლქის კინომექანიკოსი.
63. **ნ. ი. სენჩიკოვი** — კიროვსკის ოლქის კინომექანიკოსი.
64. **კ. დ. შახოვი** — იაროსლავის ოლქის კინომექანიკოსი.
65. **ა. ს. კოლონკოვა** — რიაზანის ოლქის კინომექანიკოსი.
66. **ი. ს. პოგონეცი** — ოდესის ოლქის კინომექანიკოსი.
67. **ნ. ს. კომპანეჩენკო** — ნიკოლაევსკის ოლქის კინომექანიკოსი.
68. **გ. ვ. კოვალენკო** — ჟიტომირის ოლქის კინომექანიკოსი.
69. **ი. კ. კუზუბა** — ჩერნიგოვის ოლქის კინომექანიკოსი.
70. **ა. ა. ბაიკოვი** — ლენინგრადის კინოთეატრ „ოქტიაბრის“ ტექნიკოსი.
71. **დ. ვ. ლიტმანოვიჩი** — კინოაფსკის № 6 ფაბრიკის დირექტორი.
72. **ა. გ. კალიშკინი** — კინოაფსკის № 6 ფაბრიკის ტექნიკური დირექტორი.
73. **ი. მაკაგონი** — კინოაფსკის № 5 ფაბრიკის ტექნიკური დირექტორი.
74. **ა. ო. კონდახჩანი** — კინოაფსკის № 6 ფაბრიკის მთავარი ემულსიონერი.
75. **გ. შტოლი**—კინოაფსკის № 6 ფაბრიკის საემულსიო საამქროს უფროსი.
76. **ა. ბორინი**—კინოაფსკის № 6 ფაბრიკის სამეცნიერო - კვლევითი ლაბორატორიის უფროსი.
77. **ა. არისენკო** — კინოაფსკის № 6 ფაბრიკის აფსკის დამამზადებელი საამქროს უფროსი.
78. **ი. რაკინი** — კინოაფსკის № 6 ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი.
79. **ი. ფილუღლოვი** — კინოაფსკის № 6 ფაბრიკის „ენპეს“ საამქროს უფროსი.
80. **ა. ვლასოვი** — კინოაფსკის № 5 ფაბრიკის ძირითადი საამქროს უფროსი.
81. **ლ. კ. კრუპენინი** — კინოაფსკის № 5 ფაბრიკის საემულსიო საამქროს უფროსი.
82. **ნ. ვ. მაკაროვი** — კინოფოტოს სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის საემულსიო ლაბორატორიის გამგე.
83. **ი. ლევკოევი** — კინოფოტოს სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის სინტეტიკური ლაბორატორიის გამგე.
84. **ვ. ი. უსპენსკი** — კინოფოტოს სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
85. **ტ. სტრატონოვა** — კინოფოტოს სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
86. **ფ. დუბინსკაია** — „სოიუზკინოპროკატის“ კიევის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
87. **გ. ლ. ზაიონცი** — „სოიუზკინოპროკატის“ ვინიცის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
88. **ა. მ. სმირნოვა** — „სოიუზკინოპროკატის“ სტალინგრადის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
89. **მ. ნ. შავინა** — „სოიუზკინოპროკატის“ გორკის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
90. **ე. ს. სოიანიკოვა** — „სოიუზკინოპროკატის“ მოსკოვის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
91. **ე. ტ. ბახრუშინა**—„სოიუზკინოპროკატის“ მოსკოვის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
92. **ე. ი. ბოგატიხი** — „სოიუზკინოპროკატის“ ბურიატ - მონღოლეთის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
93. **ა. მ. ბედენკო** „სოიუზკინოპროკატის“ ყირიმის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
94. **ა. ა. ორლოვა** — „სოიუზკინოპროკატის“ მორდვის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
95. **ვ. ა. გერასიმოვა** — „სოიუზკინოპროკატის“ ბაშკირეთის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
96. **ს. პ. ზაგიევა** — „სოიუზკინოპროკატის“ ჩრდილოეთ-ოსეთის განყოფილების მემონტაჟე ქალი.
97. **ნ. გ. მამედოვა** — „სოიუზკინოპროკატის“ აზერბაიჯანის განყოფილების მემონტაჟე ქალი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ა. ლიარსკი** — ალექსი პეშკოვის როლის შემსრულებელი კინოსურათში „გორკის ბავშვობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი,
1939 წლის 1 თებერვალი.

პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე

რაში იყო მსგავსება და განსხვავება რევოლუციურ და ლიბერალურ ნაროდნიკებს შორის

ამხ. მარიამ რახმატულინა მიმართავს „პრავდას“ შეკითხვით, არსებობს თუ არა განსხვავება 60-70-იანი წლების ნაროდნიკებსა და 80-90-იანი წლების ნაროდნიკებს შორის, რაში მდგომარეობს ის განსხვავება, შეიძლება თუ არა ერთნიც და მეორენიც მოვათავსოთ ერთ ფრჩხილებში, „მივაკუთვნოთ ერთს“.

თურმე, როგორც ამხ. მ. რახმატულინა გვაცნობებს, ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ მეცნიერებათა კათედრის მუშაკებს შორის წარმოიშვა ხანგრძლივი კამათი ამ საკითხის გამო. „ამხ. ფედინი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოცენტი და კანდიდატი, პოლიტეკონომიის დოცენტი ამხ. პეტროვი, პოლიტეკონომიის ასისტენტი ამხ. ვანდიუკოვი განმარტავენ ასე, რომ ლენინი თავის შრომაში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ მეტად გარკვეულად და მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ 60-70-იანი წლების ნაროდნიკები რევოლუციური ნაროდნიკები არიან, იმიტომ რომ ისინი იბრძოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და წავიდნენ ხალხში, რომ აეჯანყებინათ იგი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, **მაგრამ მათი ბრძოლის მეთოდები ანტიმარქსისტული იყო.** მე და დოცენტი ამხ. პოპოვი წინააღმდეგნი ვართ ასეთი განმარტებისა, წინააღმდეგნი ვართ 60-70-იანი წლების ნაროდნიკებისათვის რაიმე რევოლუციური დამსახურებათა მიკუთვნებისა და რეაქციულობის მიწერისა მხოლოდ 80-90-იანი წლების ნაროდნიკებისათვის“.

თუ კამათის შინაარსი მ. რახმატულინას წერილში სწორად არის გადმოცემული, მაშინ, რასაკვირველია, ჭეშმარიტებას უახლოვდებიან ამხ. ფედინი და სხვები, ვინც მას მხარს უჭერენ.

უწინარეს ყოვლისა რომ ვუპასუხოთ კითხვაზე, შეიძლება თუ არა მთელი ნაროდნიკობა განვიხილოთ როგორც მთლიანობა, საჭიროა მივმართოთ ნაროდნიკობის საკითხზე ლენინის ძირითად შრომას „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. ამ შრომაში ლენინი იძლევა უწინარეს ყოვლისა **მთლიანად ნაროდნიკობის კლასობრივ განსაზღვრას.**

ნაროდნიკული სოციალიზმის კრიტიკა იწვევს ლენინის დასკვნას, რომ ნაროდნიკულ სოციალიზმში „სრულებით არაფერი სოციალისტური აქ არ არის, ე. ი. ყველა ეს თეორიები სრულიად ვერ განმარტავენ მშრომელის ექსპლოატაციას და ამიტომ აბსოლუტურად არ გამოდგებიან მისი განთავისუფლებისათვის, რომ სინამდვილეში ყველა ეს თეორიები ასახავენ და ატარებენ წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს...“ (ტომი I, გვ. 184).

და შემდეგ ლენინი აყენებდა კითხვას:

„როგორ უნდა მოეკიდოს მუშათა კლასი წვრილ ბურჟუაზიას და მის პროგრამებს?“.

ლენინი სწერს:

„ამ კითხვაზედაც არ შეიძლება ვუპასუხოთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ კლასის ორმაგ ხასიათს (ჩვენში, რუსეთში, ეს ორმაგობა განსაკუთრებით ძლიერია წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის ანტაგონიზმის ნაკლები განვითარების გამო). იგი პროგრესიულია, რამდენადაც აყენებს საერთო-დემოკრატიულ მოთხოვნებს, ე. ი. იბრძვის საშუალო საუკუნეების ეპოქისა და ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ; იგი რეაქციულია, რამდენადაც იბრძვის თავისი, როგორც წვრილი ბურჟუაზიის, მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, ცდილობს შეაჩეროს, უკან დააბრუნოს ქვეყნის საერთო განვითარება ბურჟუაზიული მიმართულებით“ (ტ. I, გვ. 184).

ამგვარად, ლენინი მთელ ნაროდნიკობას, რევოლუციურსაც და ლიბერალურსაც სთვლიდა წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობად, არსებითად არა პროლეტარულად, არა სოციალისტურად.

სტატიაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი“ ლენინი იძლევა მთელი ნაროდნიკობის დედაარსის შემდეგ განსაზღვრას: „ნაროდნიკობის დედაარსია მწარმოებელთა ინტერესების წარმომადგენლობა წვრილი მწარმოებლის, წვრილი ბურჟუას თვალსაზრისით“ (ტომი I, გვ. 271).

სტატიაში „გერცენის ხსოვნას“ (1912 წელი) ლენინი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს **მთელი ნაროდნიკობის დამახასიათებელ საერთო** უარყოფითს ნიშნებს.

ამ სტატიაში ლენინი აღნიშნავს, რომ „გერცენი არის „რუსული“ სოციალიზმის, „ნაროდნიკობის“ ფუძემდებელი. გერცენი „სოციალიზმს“ ხედავდა გლეხების განთავისუფლებაში **მიწით**, სათემო მიწათმფლობელობაში და „მიწაზე უფლების“ გლეხურ იდეაში. თავის საყვარელ აზრებს ამ თემაზე ის მრავალჯერ ანვითარებდა.

სინამდვილეში გერცენის ამ მოძღვრებაში, როგორც მთელ რუსულ ნაროდნიკობაში — თვით ახლანდელი „სოციალისტ-რევოლუციონერების“ გახუნებულ ნაროდნიკობამდე — არ არის **არცერთი გრანი** სოციალიზმისა. ეს ისეთივე კეთილსულოვანი ფრაზაა, ისეთივე კეთილი ოცნებაა, რომელიც მოსავს ბურჟუაზიული გლეხური დემოკრატიის **რევოლუციურობას** რუსეთში, როგორც „48 წლის სოციალიზმის“ სხვადასხვა ფორმები დასავლეთში“ (ტომი XV, გვ. 466).

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლენინი არ აქცევდა განსხვავებას 60-70-იანი წლების ნაროდნიკებს — ზემლევოლცებს და ნაროდოვოლცებს შორის ერთის მხრივ და 80-იანი და 90-იანი წლების მეორე ნახევრის ნაროდნიკებს — ლიბერალურ ნაროდნიკებს შორის? არა, არ ნიშნავს. ლენინი, პირიქით, მკაფიო განსხვაებას ატარებდა ერთთა და მეორეთა შორის.

მაშ რაში ხედავდა ლენინი ძირითად განსხვავებას 60-70-იანი და 90-იანი წლების ნაროდნიკებს შორის ერთთა და მეორეთა სოციალური დედაარსის თვალსაზრისით, იმ პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელსაც ატარებდნენ ის მიმდინარეობანი ნაროდნიკობაში? ამაზე პასუხს ვხედებით ლენინის ადრინდელ შრომაში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“.

ლენინი ამ განსხვავებას ხედავდა იმაში, რომ 60-70-იანი წლების ნაროდნიკებს ჰქონდათ პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული იყო მეფის მთავრობასთან რევოლუციური ბრძოლისათვის. მათ ჰქონდათ ვულუზრუნველი, უტოპიური ოცნებანი მიეღწიათ სოციალიზმისათვის გლეხური თემის საშუალებით, იმ თემის საშუალებით, რომელიც სინამდვილეში ხელსაყრელი ფორმა იყო კულაკური ძალადური გავლენის დასაფუძნებად.

ცდილობდნენ რა აიმხედრებინათ გლეხები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ნაროდნიკები ვერ ხედავდნენ, ისინი არ ცნობდნენ თვითმპყრობელობის დამხობის ნამდვილ გზებს, ისინი არ ცნობდნენ მუშათა კლასს და არ ესმოდათ, რომ მუშათა კლასთან კავშირის გარეშე და მუშათა კლასის — საზოგადოების ამ ყველაზე მოწინავე და რევოლუციური კლასის — ხელმძღვანელობის გარეშე მარტო გლეხებს არ შეუძლიათ დამარცხონ ცარიზმი და მემამულეები. გლეხობა ხომ (ლაპარაკი იყო მაშინ ერთპიროვნულ გლეხობაზე), მიუხედავად მისი მრავალრიცხოვანობისა, ისეთ მშრომელ კლასს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ ფორმასთან — წვრილ წარმოებასთან. თავისი დაქსაქსულობისა და წვრილ-მესაკუთრული მდგომარეობის გამო იგი ნაკლები ხალისით ემორჩილებოდა ორგანიზაციას, ნაკლები ხალისით ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში. ნაროდნიკებს არ ესმოდათ გლეხობის ბუნება, ისინი აიდეალებდნენ მეურნეობის ჩამორჩენილ ფორმებს და მით ხელს უშლიდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის განვითარებას.

ნაროდნიკების უმრავლესობამ „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის განადგურების შემდეგ ხელი აიღო რევოლუციურ ბრძოლაზე მეფის მთავრობასთან. ლიბერალური ნაროდნიკები არა მარტო ოცნებობდნენ მეფის მთავრობასთან შერიგებაზე, არამედ თავისი პროგრამის განხორციელების ყველა იმედებს მეფის მთავრობაზე ამყარებდნენ.

ნაროდნიკობის ევოლუციის საფუძველი, ლენინის აზრით, მდგომარეობდა გლეხობის ფენებად დაყოფაში. ნაროდნიკები ძალიან ხშირად ვერ ამჩნევდნენ ან არ უნდოდათ შეემჩნიათ გათიშვა სოფლად: „...სოფელი, — სწერდა ლენინი, — დიდი ხანია უკვე მთლიანად გაითიშა. მასთან ერთად გაითიშა ძველი რუსული გლეხური სოციალიზმიც, რომელმაც, ერთის მხრივ, ადგილი დაუთმო მუშათა სოციალიზმს; მეორე მხრივ, გადაგვარდა უგვანო მეშჩანურ რადიკალიზმად. ამ გარდაქმნას სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს, თუ არ გადაგვარება. ...პოლიტიკური პროგრამიდან, რომელიც გათვალისწინებული იყო იმისათვის, **რომ აემხედრებინათ გლეხობა სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად. თანამედროვე საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ** — გაიზარდა პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ გამოენახათ, „გაეუმჯობესებინათ“ გლეხობის მდგომარეობა და ამავე დროს **შეენარჩუნებინათ თანამედროვე საზოგადოების საფუძვლები**“ (ტ. I, გვ. 165).

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ 60-70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისის ნაროდნიკებს სწორედ ამიტომ უწოდებს ლენინი რევოლუციურებს, რომ ისინი თუმცა არასწორად, თუმცა ემყარებოდნენ არასწორ თეორიებს, აწარმოებდნენ რევოლუციურ ბრძოლას მეფის წინააღმდეგ, მემამულეების წინააღმდეგ. **80-იანი და 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკები კი არავითარ რევოლუციურ ბრძოლას არ აწარმოებდნენ.**

ეს არსებითი განსხვავებაა.

მეორე ადგილას, უფრო შემდეგდროინდელ სტატიაში „მონაროდნიკო ბურჟუაზია და დაბნეული ნაროდნიკობა“ ლენინი კვლავ უბრუნდება „ძველ“ ნაროდნიკობასა და ნაროდნიკობის **ეპიგონებს** (მიმბაძველებს) — ლიბერალურ ნაროდნიკებს შორის განსხვავების დახასიათებას.

„რუსი მარქსისტები, — სწერდა ლენინი, — უკვე დიდიხანია მიგვითითებენ ძველი რუსული, კლასიკური, რევოლუციური ნაროდნიკობის იმ გარდაქმნაზე, რომელიც განუხრელად ხდება გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან. მცირდებოდა რწმენა გლეხური მეურნეობის განსაკუთრებული წყობისა, თემისა, როგორც სოციალიზმის ჩანასახისა და ბაზისისა, შესაძლებლობისა გვერდი აექციათ კაპიტალიზმის გზისათვის დაუყოვნებლივი სოციალური რევოლუციის საშუალებით, რომლისთვისაც ხალხი უკვე მზად არის. პოლიტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნეს მხოლოდ გლეხური მეურნეობის და საერთოდ „წვრილი სახალხო წარმოების“ განმტკიცების [illegible] ღონისძიებათა მოთხოვნებმა. ეს უკვე, თავის საფუძველში, იყო არა უმეტეს, ვიდრე ბურჟუაზიული რეფორმატორობა; ნაროდნიკობა იძირებოდა ლიბერალიზმში; იქმნებოდა ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება, რომელსაც არ უნდოდა დაენახა ან არ შეეძლო დაენახა, რომ ნავარაუდევი ღონისძიებანი (ყველა ეს კრედიტები, კოოპერაციები, მელიორაციები, მიწათმფლობელობის გაფართოება) არ სცილდებიან **არსებული ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებს**“ (ტ. VI, გვ. 113).

მაშასადამე, ლენინი ძველ რუსულ ნაროდნიკობას რუსულ ნაროდნიკობად სთვლიდა. ლიბერალურ ნაროდნიკებს ლენინი უწოდებდა „საცოდავ ეპიგონებს“, ესე-იგი მიმბაძველებს.

მაგრამ ერთნიც და მეორენიც მარქსისტული თეორიის მიმართ გაერთიანდნენ მარქსიზმის გაუგებლობაში, მარქსისტული თეორიისადმი უარყოფითი და თვით მტრულ დამოკიდებულებაში.

ნაროდნიკებს არ ესმოდათ საზოგადოებრივი განვითარების კანონები. სთვლიდნენ რა კაპიტალიზმს რუსეთში „შემთხვევით“ მოვლენად, „ბოროტებად“, ისინი აიდეალებდნენ თემს, ცდილობდნენ შეეჩერებინათ, უკან დაებრუნებინათ ქვეყნის საერთო განვითარება. ისინი იყვნენ დრომოჭმული იდეების წარმომადგენლები. მათ არ სწამდათ საზოგადოების განვითარებაში საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების უპირატესი როლი. ნაროდნიკები თავის მოღვაწეობას აგებდნენ არა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებათა საფუძველზე, არამედ მათგან დამოუკიდებლად და მათ საწინააღმდეგოდ, — აგებდნენ „იდეალურ“ ცხოვრებას მოწყვეტილი „იდეალური გეგმების“ საფუძველზე.

ნაროდნიკები სთვლიდნენ, რომ ისტორიას აკეთებენ არა კლასები და არა კლასთა ბრძოლა, არამედ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები — „გმირები“, რომლებსაც ბრმად მისდევს მასა. მათ არ ესმოდათ, რომ გმირები კი არ აკეთებენ ისტორიას, არამედ ისტორია აკეთებს გმირებს, რომ ხალხი ჰქმნის გმირებს და წინ მიჰყავს ისტორია. ისტორიის ეს „მკეთებლები“, მარცხიანი გმირები მარქსიზმმა მკაცრად გააკრიტიკა. მარქსიზმის მოწინავე იდეები იჭრებოდნენ რუსეთში, უკუაგდებდნენ და სპობდნენ დრომოჭმულ იდეებს, რომელთა წარმომადგენლებიც ნაროდნიკები იყვნენ.

მარქსისტებს თავისი მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან უნდა ეწარმოებინათ — და აწარმოებდნენ დაუნდობელი ბრძოლა ყველა ელფერის ნაროდნიკობის წინააღმდეგ. მარქსიზმს რუსეთში შეეძლო გაზრდილიყო და განმტკიცებულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი

პროფ. ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილს, როგორც სახელგანთქმულ მეცნიერს, გამოჩენილ ფიზიოლოგს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მთელი კულტურული კაცობრიობა იცნობს. ამ შესანიშნავი მეცნიერის შრომები გამოქვეყნებულია არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ ევროპულ ენებზედაც. მისი ლაბორატორიიდან გამოსულია 250-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომელთა შორის თვით პროფ. ივ. ბერიტაშვილის კალამს ეკუთვნის 120-მდე.

პროფ. ივ. ბერიტაშვილმა, სანამ იგი მსოფლიოში განთქმული მეცნიერის სახელს მოიხვეჭდა, მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი გზა განვლო. მან შექმნა საკუთარი სკოლა, თავისი ორიგინალური მიმართულება ნერვულ ფიზიოლოგიაში.

ივ. ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წელს სოფ. ვეჯინში (გურჯაანის რაიონი). საშუალო განათლება ტფილისში მიიღო. 1906 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე საბუნებისმეტყველო განხრით. უნივერსიტეტი დაამთავრა 1910 წელს პირველი ხარისხის დიპლომით.

1914 – 1915 წლებში პროფ. ივ. ბერიტაშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა გამოცდა ზოოლოგიის, ფიზიოლოგიისა და შედარებითი ანატომიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. 1919 წლიდან მას იწვევენ თბილისში ახლად დაარსებული უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურ კათედრაზე სამუშაოდ. პროფ. ივ. ბერიტაშვილს ნიშნავენ თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად.

1934 წელს პროფ. ივ. ბერიტაშვილმა მიიღო ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 193 წელს პროფ. ივ. ბერიტაშვილს, მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ი. ს. ბერიტაშვილი არაერთხელ გამოსულა მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენებებით ფიზიოლოგების, ბიოქიმიკოსებისა და ფარმაკოლოგების როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ყრილობებზე. ხანგრძლივი და დაუღალავი სამეცნიერო მუშაობის შედეგად მან შექმნა ორიგინალური მიმართულება მოძღვრებაში ინდივიდური ანუ ეგრეთწოდებული პირობითი რეფლექსების შესახებ. მრავალი წლის დაკვირვებული სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შედეგად ივ. ბერიტაშვილმა წამოაყენა და გადასჭრა ფიზიოლოგიის მრავალი აქტუალური პრობლემა.

თავდადებული სამეცნიერო მუშაობისათვის სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ ივ. ბერიტაშვილი დააჯილდოვა აკად. ი. პავლოვის პრემიით.

საქართველოს მშრომელებმა დააფასეს პროფ. ი. ბერიტაშვილის მრავალი წლის სამეცნიერო-საზოგადოებრივი მუშაობა და გამოუცხადეს მას უდიდესი ნდობა, აირჩიეს რა იგი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ივ. ბერიტაშვილი დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი — შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა ფარული კენჭისყრით აკადემიის ნამდვილ წევრად სხვებთან ერთად აირჩიეს პროფ. ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-21 საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს 7 საათსა და 40 წუთზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის XXI საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები: საქმიანი პრეზიდიუმი—21 კაცისა, სამანდატო კომისია—5 და სამდივნო—3 კაცის შემადგენლობით. კონფერენციამ საქმიან პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. კ. ჩარკვიანი, კ. შეროზია და მ. ჯაში; ამხ. ვ. ბაქრაძე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იშხანოვი, საქ. ალკკ ც. კ-ის მდივნები ამხ. ა. მირცხულავა, შ. ჭანუყვაძე, თ. ბირკაძე და სხვები.

შემდეგ კონფერენცია ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს.

დიდხანს არ სწყდება ვაშას ძახილი და ძლიერი ტაში, როცა საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად ასახელებენ ხალხთა ბრძენ ბელადს დიდ **სტალინს**. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: **„გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს!“ „გაუმარჯოს ახალგაზრდობის მეგობარს ამხანაგ სტალინს!“**. მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს **მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ეჟოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, დიმიტროვს, ტელმანს, ხოზე დიასს, მიხაილოვს.**

საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში და არჩევნები. ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. შ. ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენება საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ.

კონფერენციის პირველი სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგი კ. ჩარკვიანი, კ. შეროზია და მ. ჯაში, ამხ. ვ. ბაქრაძე და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იშხანოვი.

ამხ. ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენების შემდეგ კონფერენციის პირველი სხდომა დამთავრდა.

კონფერენციის მეორე სხდომა შესდგება დღეს საღამოს 7 საათზე.

სალამი საქართველოს ორდენოსან მწერლებსა და კინემატოგრაფიის მუშაკებს!

საქართველოს მწერლების საზეიმო მიტინგი

გუშინ, 2 თებერვალს, საქართველოს მწერალთა კლუბში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელდახელო საზეიმო მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო საბჭოთა მწერლების დაჯილდოების შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნების გამო.

მიტინგი გახსნა პოეტმა **სანდრო ეულმა.**

— ცნობა, რომელიც დღეს გამოქვეყნდა გაზეთებში, — სთქვა მან, — სასიხარულო და საამაყოა თვითეული ჩვენგანისთვის, ყველა პოეტისთვის, მწერლისთვის, ხელოვნების ყველა მუშაკისთვის. ეს დიდი ჯილდო, საბჭოთა კავშირის ორდენებით 172 მწერლის, მათ შორის საქართველოს ლიტერატურის 12 მოწინავე წარმომადგენლის დაჯილდოება მოწმობს, რომ ჩვენ გვაქვს დიდი გამარჯვებები, რომ შეუჩერებლივ ვითარდება მშობლიური საბჭოთა ლიტერატურა.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **შ. რადიანი, ალ. ქეიშვილი, იაკ. ლისაშვილი, ევგ. ჭყონია, გრ. აბაშიძე,** რუსი პოეტი **ვას. კამენსკი, შალვა დადიანი, ალ. მაშაშვილი, ილო მოსაშვილი** და **გ. ლეონიძე.**

მიტინგზე გამოსული მწერლები გამოსთქვამდნენ დიდ სიხარულსა და აღტაცებას იმ უმაღლესი დაფასების გამო, რომელსაც იჩენს საბჭოთა ხელისუფლება მწერლობისა და ხელოვნების მიმართ.

— მადლობა დიდ **სტალინს**, ჩვენი შემოქმედებითი შთაგონების დაუშრეტელ წყაროს, მასწავლებელსა და ბელადს, საბჭოთა ლიტერატურის დიდ მეგობარს!

მადლობა ჩვენი მწერლობის დიდ მოამაგეს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს და სტალინურ სახალხო კომისარს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.**

— დიდება და გამარჯვება ჩვენს დიად სამშობლოს, სადაც სიცოცხლე ესოდენ ტკბილია.

ასე ამთავრებდნენ ორატორები თავიანთ გამოსვლებს. დიდი **სტალინის** და მისი თანამებრძოლის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** სახელის ხსენებისას დარბაზი, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, ტაშით ზანზარებდა.

ორატორების გამოსვლათა შემდეგ გამოაქვეყნეს დეპეშები, რომელიც საქ. მწერალთა კავშირმა მიიღო 12 ქართველი მწერლის დაჯილდოების გამო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშებით მიმართა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხ. **კ. ჩარკვიანს.**

ახალგაზრდობას არ ჩამოვრჩები

ძნელი ყოფილა ბედნიერების დროს სიტყვების გამონახვა... ამდენი სიხარული არასოდეს მქონია. ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. დიადმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის მოწინავე მწერლებთან ერთად დააჯილდოვა ქართული ლიტერატურის 12 საუკეთესო წარმომადგენელი. ეს არის დიდი დაფასება მთელი ჩვენი მუშაობისა, ჩვენი შრომისა.

ლენინის ორდენი — ეს უმაღლესი და საამაყო ჯილდო, რომელიც მე მომანიჭა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მარტო მე არ მეკუთვნის. ეს ჯილდო ეკუთვნის მთელს ჩვენს მწერლობას, მთელს ჩვენს ხალხს. მაშ, ვემსახუროთ, ამხანაგებო, საბჭოთა ხალხს, მეტის მონდომებით, მეტის ენერგიით. ავსახოთ მისი ბრძოლა და შემოქმედება, მივსცეთ მაღალხარისხოვანი პროდუქცია ჩვენს მკითხველს. ამ უმაღლესი ჯილდოების მიღება ჩვენ გვავალებს ამას და მეც ვაცხადებ: მოხუცებში ნუ მიგულავთ. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებთან ერთად შევეცდები ახალი შემოქმედებითი მუშაობით გავუმართლო პარტიას, ხელისუფლებას და დიდ **სტალინს** ის დიდი ნდობა, რომელსაც მე მანიჭებს ლენინის ორდენის მიღება.

შალვა დადიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

უმხურვალესი მადლობა დიდ სტალინს

ახლა, როცა გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა მწერლების და მათ შორის ჩემი მეორეჯერ დაჯილდოების შესახებ, არ მყოფნის სიტყვები უსაზღვრო აღტაცების გრძნობის გამოსათქმელად. ეს სიხარული უფრო იზრდება მით, რომ მოწინავე მწერალთა დაჯილდოება მოხდა გმირული ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის გახსნის ისტორიული თარიღის წინ. არ დავიშურებ ენერგიას, შემოქმედებით ძალას, ნიჭს და უნარს, რათა ღირსეულად შევასრულო ადამიანის სულის ინჟინრის საპატიო მოვალეობა და მხატვრული სიტყვით გავამართლო მთავრობის უმაღლესი ჯილდო.

კიდევ ერთხელ უმხურვალესი მადლობა დიდ სტალინს, რომელიც ისე უვლის ადამიანს, როგორც სათუთ ყვავილს ბრძენი მებაღე.

ალიო მაშაშვილი

ორდენოსანი პოეტი.

ჩემი დღესასწაული

უდიდესი სიხარულით ამევსო გული, როცა შევიტყვე საკავშირო მთავრობის მიერ ჩემი დაჯილდოების ამბავი. ეს ჯილდო მახარებს უფრო იმიტომ, რომ იგი მთელი მსოფლიოს წინაშე მოწმობს იმ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას, რომელსაც ჩვენი სოციალისტური სამშობლო იჩენს მწერლობისა და საერთოდ ხელოვნებისადმი.

საკავშირო მთავრობის მიერ ჩემი მცირე ლიტერატურული შრომის უმაღლესი შეფასება და დაჯილდოება მავალებს პირნათლად შევასრულო ჩემი მოვალეობა, მოვალეობა დიადი სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი სტალინის ბოლომდე ერთგული საბჭოთა მწერლისა ხალხის წინაშე.

ლეო ქიაჩელი

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებული მწერლები: შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. მოსაშვილი, გ. ლეონიძე, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ვ. გაფრინდაშვილი, ა. მაშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ს. კლდიაშვილი და ი. აბაშიძე.

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებული კინემატოგრაფიის მუშაკები: მ. ჭიაურელი, ნ. შენგელაია, ს. დოლიძე, გ. ცაგარელი, მ. გელოვანი, კ. მიუფკე, ა. დიგმელოვი, თ. მაკაროვა, შ. მაბალაძე, ი. პერესტიანი, ე. გაბრიელი, ზ. ვახტანგიშვილი.

განუზომელი სიხარული

აუწყველი და განუზომელი სიხარული მივსებს გულს იმ დიდი დაფასების გამო, რომელიც საბჭოთა მთავრობისაგან მივიღეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა. ჩემი უსაზღვრო მადლობის გრძნობა მიმართულია დედა-სამშობლოსადმი, ხალხთა დიდი ბელადისა და ბრძენი მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.**

მადლობა მთელი ჩვენი ცხოვრების გენიალურ შემოქმედს დიდ სტალინს, მადლობა ჩემს დიად სამშობლოს და მის ბრძენ მედროშეს — კომუნისტურ პარტიას. მადლობა საბჭოთა ხელისუფლებას და ქართველი ხალხის საამაყო შვილს — ქართული მწერლობის დიდ მოამაგეს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.**

ვიძლევი ფიცს მომავალში კიდევ უფრო გავამახვილო კალამი და ჩემი ლექსის თვითეული სტრიქონი გადავაქციო მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ამოწვდილ ბასრ იარაღად.

ილო მოსაშვილი

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაასკეცებული ენერგიით ვემსახურები ხალხს

ჩემი და ჩემი მეგობრების —ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების დაჯილდოვება უსაზღვრო სიხარულით ავსებს გულს. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ვყოფილიყავით მომღერალნი დიდი სტალინის ეპოქისა, ვყოფილიყავით შთაგონებულნი სამშობლოს ბედნიერებით და უსაყვარლესი ადამიანის, მთელი კაცობრიობის მაღალი გენიის **სტალინის** პიროვნებით. დაჯილდოებულია ჩვენი აწმყო და მომავალი. ამიტომ მომავალში გაასკეცებული ენერგიით და სიყვარულით უნდა ვემსახუროთ ხალხს, გავამართლოთ მისი დიდი ნდობა. მეც ვეცდები ღირსეულად ვატარო ორდენოსანის სახელწოდება და უფრო მაღალი მხატვრული სახეებით, უფრო მაღალი სიმღერებით ავსახო დიადი ხალხის გამარჯვებები და სიხარული, ვსთქვა კიდევ მრავალი სიმღერა ბელადზე—საყვარელ სტალინზე.

სიმონ ჩიქოვანი

ვუმღერ პარტიას. სამშობლოს. დიდ სტალინს

მუდამ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი მშობლიური ლიტერატურის წინაშე, მაგრამ ახლა ეს გრძნობა ერთიათად იზრდება. სკოლის სკამიდანვე ჩემი იდეალი იყო საზოგადო მოღვაწე ვყოფილიყავი—გავმხდარიყავი ერთგული მსახური საბჭოთა ხალხისა, მეცხოვრა მისი ცხოვრებით, იმ ხალხის ცხოვრებით, იმ პარტიის ცხოვრებით, რომელმაც აღმზარდა და ადამიანურ გზაზე დამაყენა. ამ ხალხისადმი ერთგულება, ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი და ბედნიერი სამშობლოსადმი ჩემი ცხოვრების მთავარი აზრია. ჯილდო, რომელმაც ასე გამახარა, მავალებს მთელი ენერგია მოვახმარო იმ საქმეს, რომელიც ბავშვობიდანვე მიყვარდა და რის სამსახურიც ყმაწვილობიდანვე გადავწყვიტე. ეს ჯილდო დაფასებაა ჩემი მომავლისა, ჩემი ხვალინდელი დღისა, რომელიც ათასჯერ უფრო ნაყოფიერი უნდა იყოს.

მთელი ხმით ვუმღერ მშობლიურ საბჭოთა ხალხს, ლენინ-სტალინის დიად პარტიას, ჩემს ძვირფას სამშობლოს, ჩვენს მამას, ბელადსა და ყველა მშრომელთა ნუგეშს დიდ **სტალინს.**

ირაკლი აბაშიძე

უფრო მეტად გავამახვილოთ ჩვენი კალამი

მხატვრული სიტყვის ოსტატების დაჯილდოვებამ არაჩვეულებრივ აღაფრთოვანა საბჭოთა მწერლობა და საზოგადოებრიობა. ასეთი ყურადღება მწერლობისადმი წარმოუდგენელია სხვა რომელიმე ქვეყანაში, ან ისტორიის რომელიმე ეპოქაში.

დღევანდელი ჩვენი დაჯილდოვება ნიშნავს იმას, რომ დღეიდან ჩვენ უფრო მეტად უნდა გავამახვილოთ ჩვენი კალამი, გავჩარხოთ სიტყვა ხალხის სამსახურად და ავწიოთ ენამძლეობა. პირადად მე ვცდილობ მეტს მხნეობას.

„ბელადის ბავშვობისა და ყრმობის“ შემდეგ, რომელიც წლეულს გამოვა ცალკე წიგნად, მე ვწერ ახალ პოემას, რომელსაც წლეულსვე გამოვაქვეყნებ. წლეულსავე გამოვა ახალი დაუბეჭდავი ლექსების ტომი და პოემა „გმირთა სავანე“.

თვითეული ჩვენგანი ამიერიდან უფრო დიდი მხნეობით უნდა აორკეცებდეს თავის მწერლურ მუშაობას ამ დიდებული ყურადღების აღსანიშნავად. დღევანდელი ჯილდო დიდი, სტიმულია ჩვენი სამსახურისა ხალხისადმი.

გაუმარჯოს დიდ **სტალინს**, რომელმაც მაღლა ასწია საბჭოთა მწერლობის დროშა!

გაუმარჯოს ჩვენს მზრუნველს და მოამაგეს **ლავრენტი ბერიას**—ქართველი ხალხის სახელოვან შვილს!

გიორგი ლეონიძე

უბრწყინვალესი თარიღი ჩემს ბიოგრაფიაში

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, ბედნიერი და გახარებული იმ დიდი ჯილდოთი, რომელიც მარგუნა საბჭოთა მთავრობამ საბჭოთა ლიტერატურაში ჩემს მიერ გაწეული შრომისთვის. კარგად ვიცი, თუ რა დიდ მოვალეობას მაკისრებს ამ ჯილდოს მიღება. უსაზღვროდ მადლიერი ვარ დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისა**, რომელმაც ესოდენ ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე მცხოვრებ ხალხებს.

მე უკვე დავამთავრე უკანასკნელი ჩემი რომანი. ეს რომანი მივუძღვენი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხს. ახლა ვმუშაობ ახალ თემაზე ჩვენი, სტალინური ეპოქის ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

ამ დიდი სიხარულთან ერთად მე ვამაყობ იმით, რომ მუდამ ვსარგებლობდი ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** — ჩვენი სამშობლოს ამ საამაყო შვილის ყოველდღიური მზრუნველობითა და რჩევა-დარიგებით. გუშინდელი დღე—დღე ჩემი დაჯილდოების ამბავის მიღებისა —უბრწყინვალესი თარიღი იქნება ჩემს ბიოგრაფიაში.

დემნა შენგელაია

დიდი სიხარული

მე არ მოველოდი ამ დიდ ჯილდოს. მე კმაყოფილი ვიყავი მით, რომ საბჭოთა მაყურებელმა კარგად შეაფასა ის შრომა, რაც მე დამჭირდა ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის განსახიერებისათვის ეკრანზე.

უსაზღვროდ მადლობელი ვარ პარტიისა და მთავრობისა ასეთი დაფასებისათვის, ვფიცავ, მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო ჩემს სამშობლოს და ლენინ-სტალინის დიად პარტიას.

მომავალში მე დაკისრებული მაქვს უდიდესი ამოცანა — რამდენიმე სურათში განვასახიერო დიდი **სტალინი**, განსაკუთრებული ენერგიით შევძლო დავუახლოვდე ჩვენი მაცოცხლებლის, მოამაგის, ხალხთა ბელადის, ჩვენი საყვარელი ბრძენი ადამიანის და გზის მაჩვენებლის ნამდვილ სახეს. ამით ჩემი მიზანიც შესრულებული იქნება. მე მივცემ საბჭოთა მაყურებელს უნაკლო ხალხურს და ადამიანური საუკეთესო გრძნობებით აღსავსე სახეს ბელადისას, ე. ი. ისეთ სახეს, როგორსაც ატარებს ჩვენი ბელადი ხალხის წარმოდგენაში, სინამდვილეში.

მ. გელოვანი

მადლობა პარტიას. მთავრობას

უდიდესი მღელვარების გრძნობით მხურვალე მადლობას ვწირავ პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს ჩემი მცირე მუშაობისათვის მაღალი ჯილდოს მონიჭებისათვის. ეს ყურადღება მმატებს ახალ ძალებს, რასაც სიხარულით მთლიანად მოვახმარ ჩვენს საუცხოო ხელოვნებას, ჩვენს შესანიშნავ სამშობლოს, ჩვენს ბედნიერ, მძლავრ ხალხს, ლენინ-სტალინის საქმეს.

კ. მიუფკე

თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის მხატვარი.

ორდენი ხალხის მადლობაა

უდიდეს სიხარულს და მღელვარებას განვიცდი—სსრკ უმაღლესმა საბჭომ დიდებითად დააფასა ჩემი მუშაობა საქართველოს კინო-მრეწველობაში და დამაჯილდოვა, როგორც „დიადი განთიადის“ სცენარის ავტორი, შრომის წითელი დროშის ორდენით.

„დიად განთიადში“ ჩვენმა შემოქმედებითმა კოლექტივმა სცადა ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციისა და მისი ბელადების **ლენინისა და სტალინის** ჩვენება მხატვრულ სახეებში. მე შევძელი მხოლოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ საქმეში და უკეთუ „დიადი განთიადის“ კოლექტივმა გაიმარჯვა, ამ გარემოებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას**, რომელიც დახმარებას გვიწევდა თავისი ყოველდღიური რჩევა-დარიგებით.

საბჭოთა მთავრობის ჯილდო უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის, ვინაიდან ორდენი გამოხატავს ხალხის მადლობას.

ჩვენმა კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგას ორდენოსანი რეჟისორი ამხ. მ. ჭიაურელი, იკისრა სურათ „ხალხთა ფიცის“ დადგმა 1939 წელს. სურათი აგებული იქნება **დიდი სტალინის** ფიცის საფუძველზე.

თუ მე შევძლებ ჩემი წვლილის შეტანას ამ საპასუხისმგებლო საქმეში, ამით ნაწილობრივ მაინც გავამართლებ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნდობასა და ყურადღებას.

კინო-დრამატურგი
გიორგი ცაგარელი

მხოლოდ ნაროდნიკობასთან ბრძოლაში. ჯერ კიდევ რუსეთში პირველი მარქსისტული ორგანიზაციების გამოჩენამდე ამ ბრძოლას ნაროდნიკობის წინააღმდეგ აწარმოებდნენ მარქსი და ენგელსი.

ცნობილია მარქსისა და ენგელსის ბრძოლა ანარქისტ ბაკუნინის—I ინტერნაციონალში დეზორგანიზატორის წინააღმდეგ. ცნობილია მარქსისა და ენგელსის ბრძოლა ტკაჩოვის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენდა მეორე, ბლანკისტურ მიმდინარეობას ნაროდნიკობაში. საკმარისია დავასახელოთ ენგელსის სტატია „სოციალური ურთიერთობანი რუსეთში“, რომელშიც ენგელსი უპასუხებს „პ. ტკაჩოვის ღია წერილზე“ და ააშკარავებს რუსეთის განვითარებაზე, მეფის მთავრობის დედაარსზე ტკაჩოვის შეხედულებათა სრულ უნიადაგობას. ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი აწარმოებდნენ ბრძოლას ლავროვის ეკლექტიზმის წინააღმდეგ, ბაკუნინისადმი მისი შემარიგებელი დამოკიდებულებისა და ლავროვის მთელი რიგი სხვა შეცდომების წინააღმდეგ.

ნაროდნიკობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა აღმართა პირველმა მარქსისტულმა ჯგუფმა რუსეთში, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა, და პლეხანოვმა პირველი ლახვარი ჩასცა ნაროდნიკობას, გვიჩვენა, თუ რა ზიანი მოაქვს მუშათა მოძრაობისათვის ნაროდნიკების მოძღვრებას და ბრძოლის მათს საშუალებებს. „პლეხანოვმა პირველმა მოგვცა ნაროდნიკების შემცდარ შეხედულებათა მარქსისტული კრიტიკა. მარჯვედ სცემდა რა ლახვარს ნაროდნიკულ შეხედულებებს, პლეხანოვი ამავე დროს ბრწყინვალედ იცავდა მარქსისტულ შეხედულებებს“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 15, ქართ. გამ.).

ლენინმა დაასრულა ნაროდნიკების იდეური განადგურება. ამ განადგურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მუშათა პარტიის შექმნა.

◆

ნაროდნიკობის ლენინურმა შეფასებამ თავისი სრული გამოხატულება ჰპოვა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, რომელიც შეიძლებოდა შექმნილიყო მასზე ამხანაგ სტალინის განსაკუთრებით დიდი მუშაობის მეოხებით. ამ წიგნში ნათქვამია, რომ „მარქსისტული ჯგუფების აღმოცენებამდე რევოლუციურ მუშაობას რუსეთში ეწეოდნენ ნაროდნიკები, რომლებიც მარქსიზმის მოწინააღმდეგენი იყვნენ“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 11, ქართ. გამ.).

ის ამხანაგები, რომლებიც უარჰყოფენ რაიმე რევოლუციურ შინაარსს 60-70-იანი წლების ნაროდნიკების მოღვაწეობაში, იღებენ ამ ფრაზის მეორე, მეტად არსებითს ნაწილს, რომ ნაროდნიკები იყვნენ მარქსიზმის მოწინააღმდეგეები, მაგრამ ისინი მხედველობიდან უშვებენ ფრაზის პირველ, აგრეთვე მეტად არსებით ნაწილს, რომ ეს ნაროდნიკები ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას.

ისინი ეწეოდნენ მას უუნაროდ, არასწორად, სწორედ იმიტომ, რომ ემყარებოდნენ არასწორ, უტოპიურ თეორიებს.

ნაროდნიკების პროპაგანდის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა მარქსისტულ თეორიას. ნაროდნიკები გამოდიოდნენ სხვადასხვა კლასების როლისა და სახელმწიფოს როლის არასწორი გაგებიდან; მათ არასწორად ესმოდათ თანაფარდობა სოციალიზმისა და პოლიტიკურ ბრძოლას შორის. სწორედ იმიტომ, რომ ნაროდნიკები არ იცნობდნენ გლეხობას და გამოდიოდნენ მისი არასწორი გაგებიდან, მათმა პროპაგანდამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა გლეხობაში, და ნაროდნიკობის ამ **უნიადაგობამ** გამოიწვია ის, რომ 70-იანი წლების დამლევს, ხალხში გასვლის შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა, „ზემლია ი ვოლია“ გაიყო „ნაროდნაია ვოლიად“ და „ჩორნი პერედელად“, როდესაც „ნაროდნაია ვოლიამ“ განაცხადა, რომ გლეხობაში მუშაობა წყლის ნაყვას უდრისო.

70-იანი წლების დამლევიდან ნაროდნიკები ინდივიდუალურ ტერორზე გადადიან. ამ ტერორისტულ ტაქტიკას, რომელიც გამომდინარეობდა არასწორი და რევოლუციისათვის მავნე თეორიიდან — „აქტიური გმირების“ და „პასიური ბრბოს“ შესახებ, რომელიც „გმირებისაგან“ ელის საგმირო საქმეს, მეტად სავალალო შედეგები ჰქონდა მთელი ნაროდნიკული მოძრაობისათვის და, უეჭველია, მან შეაფერხა დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის განვითარება და მუშათა პარტიის შექმნა. ეს შეცდომები კარგად არის ნაჩვენები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“.

ამჟღავნებს რა 60-70-იანი წლების და 80-იანი წლების დასაწყისის რევოლუციური ნაროდნიკების შეცდომებს, „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“ მიუთითებს აგრეთვე ნაროდნიკობის იმ გარდაქმნაზე, რომელზედაც არაერთხელ სწერდა ლენინი. „ნაროდნიკების უმრავლესობამ „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის განადგურების შემდეგ მალე აიღო ხელი მეფის მთავრობასთან რევოლუციურ ბრძოლაზე, დაიწყო მეფის მთავრობასთან შერიგების, შეთანხმების ქადაგება. ნაროდნიკები 80-იან და 90-იან წლებში კულაკობის ინტერესთა გამომხატველები გახდნენ“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 19, ქართ. გამ.).

„ისინი უბრალოდ ფიქრობენ, — სწერდა ლენინი ლიბერალური ნაროდნიკების შესახებ. — რომ თუ კარგად და რაც შეიძლება ალერსიანად სთხოვენ ამ მთავრობას, მას შეუძლია ყველაფერი კარგად მოაწყოს“ (ტ. I, გვ. 161).

როგორია ნაროდნიკების შემდგომი გზა? ისინი 80-იანი და 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის პოზიციებიდან გადავიდნენ ესერების პარტიის პოზიციებზე. ესერების ეს პარტია, ექანებოდა რა საფეხურიდან საფეხურზე, პროლეტარული დიქტატურისათვის მუშათა კლასის ბრძოლის პერიოდში აშკარად გადავიდა სოციალისტური რევოლუციის მტრების ბანაკში და, როგორც რუსეთის ყველა სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიები, გადაიქცა ფაშისტურ დაზვერვათა ჯაშუშურ-დივერსანტულ აგენტურად.

მთელ ნაროდნიკობას ჩვენ უარყოფითად ვეკიდებით, როგორც მიმდინარეობას, რომელიც მარქსიზმისადმი მტრულად არის განწყობილი; მაგრამ ჩვენ ვასხვავებთ მასში მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. და იმ ნაროდნიკობაში, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ, ჩვენ აღვნიშნავთ მის დემოკრატიულ ნაკადს.

ლენინი სტატიაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი“ სწერდა: „ნაროდნიკობამ ასახა რუსეთის ცხოვრების ისეთი ფაქტი, რომელიც ჯერ კიდევ თითქმის უცნობი იყო იმ ეპოქაში, როდესაც სლავიანოფილობა და დასავლეთური მიმართულება ყალიბდებოდა, სახელდობრ: შრომისა და **კაპიტალის** ინტერესების წინააღმდეგობა. მან ეს ფაქტი ასახა წვრილი მწარმოებლის საარსებო პირობებისა და ინტერესების პრიზმის საშუალებით, ამიტომ ასახა დამახინჯებულად, ლაჩრულად, შექმნა თეორია, რომელმაც წამოაყენა არა საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგობანი, არამედ განვითარების სხვა გზის უნაყოფო იმედები, და ჩვენი ამოცანაა გამოვასწოროთ ნაროდნიკობის ეს შეცდომა, დავანახვოთ ყველას, რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს შეუძლია გახდეს უშუალო მწარმოებელთა ინტერესების ნამდვილი წარმომადგენელი“ (ტ. I. გვ. 279).

რევოლუციური მარქსისტების, ბოლშევიკების უდიდესი ისტორიული დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მოწინავე თეორიით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ არა მარტო შესძლო გამოესწორებინა ნაროდნიკობის შეცდომა, არა მარტო შესძლო ეჩვენებინა, რომ მუშათა კლასი წარმოადგენს ყველა მშრომელთა ინტერესების ნამდვილ წარმომადგენელს, არამედ მან შესძლო აგრეთვე ამ კლასის ავანგარდი ჩამოეყალიბებინა მოწინავე, დამოუკიდებელ პარტიად. შეეიარაღებინა იგი მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით და წაეყვანა იგი უდიდესი ისტორიული გამარჯვებებისაკენ.

ემ. იაროსლავსკი.

„პრავდა“.

გამოხმაურება საზღვარგარეთ ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 31 იანვარი (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოათავსა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის დენის ცნობა, რომელშიაც დაწვრილებით გადმოცემულია თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ცნობა მოთავსებულია მსხვილი სათაურებით: „საბჭოთა კავშირი სახავს მესამე ხუთწლედის გეგმას", „მძიმე მრეწველობას მთავარი ყურადღება ექცევა", „თეზისები იხილავენ სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალი პერიოდის საკითხებს".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 1 თებერვალი (საკდესი). დღეს პრაღის გავლენიანი გაზეთები „ლიდოვე ნოვინი", „ნაროდნი პოლიტიკა" და „ჩესკე სლოვო" აქვეყნებენ ცნობებს ამხ. მოლოტოვის იმ მოხსენების თეზისების შესახებ, რომელიც უნდა გაკეთდეს საკ. კ. პ. (ბ) მომავალ XVIII ყრილობაზე. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ სსრ კავშირის აღმოსავლეთი განაპირა მხარეების ეკონომიური განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივებს, მესამე ხუთწლედის ამოცანებს სსრ კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების დარგში და იმ ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია კულტურული მშენებლობის დარგში.

რუზველტის თათბირი სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის წევრებთან

ვაშინგტონი, 1 თებერვალი (საკდესი). პრეზიდენტი რუზველტი ესაუბრა სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის წევრებს. ეს კომისია იკვლევს ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთისათვის სამხედრო თვითმფრინავების მიყიდვასთან. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში რუზველტმა უარჰყო ხმები, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრანგეთისათვის გადაეცეს მნიშვნელოვანი საავიაციო საიდუმლოებანი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის", „ჰერალდ ტრიბიუნის" და სხვათა ვაშინგტონელი კორესპონდენტების ცნობებით, რუზველტმა კომისიის წევრებს განუცხადა, რომ საფრანგეთი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის პირველ ხაზს და რომ ამერიკის შეერთებული შტატები დახმარებას გაუწევენ საფრანგეთსა და ინგლისს გერმანიის წინააღმდეგ. რუზველტი იმ აზრს იცავდა, რომ საფრანგეთს უნდა მიეყიდოს სამხედრო თვითმფრინავები; მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა მიჰყიდონ იარაღი ინგლისსა და საფრანგეთს დემოკრატიული ქვეყნების გასაძლიერებლად „რომი - ბერლინი-ტოკიოს" ღერძის წინააღმდეგ. რუზველტმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა უაღრესად სერიოზულია.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 1 თებერვალი (საკდესი). ესპანეთის საკითხზე გუშინ თემთა პალატაში გამართული კამათის დროს გამოვიდა ლიბერალების ლიდერი არჩიბალდ სინკლერი, შეჩერდა რა საერთაშორისო მდგომარეობაზე, სინკლერმა სთქვა, რომ საქმეთა ახლანდელი მდგომარეობა ძლიერ შეშფოთებას იწვევს მთელს მსოფლიოში. „რომი — ბერლინის ღერძი" სულ უფროდაუფრო გარკვეულად გამოდის ევროპის რუკაზე. მთელი რიგი პატარა ქვეყნები ცდილობენ უზრუნველჰყონ თავიანთი თავი ფაშისტურ სახელმწიფოებთან დაახლოების გზით. მთელ რიგ ქვეყნებს თავდასხმის საფრთხე ემუქრება.

რაც შეეხება ჰოლანდიას, — განაცხადა სინკლერმა, — ამ ქვეყანაში იგრძნობა სერიოზული შეშფოთება თავისი შემდგომი ბედისათვის. „ჩვენ ჰოლანდიას უნდა შევპირდეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი არაპროვოცირებული აგრესიის მსხვერპლი გახდება, ჩვენ მის მხარეზე გამოვალთ". გადავიდა რა ესპანეთის საკითხზე, სინკლერმა განაცხადა, რომ ესპანეთში გრძელდება იტალია-გერმანიის ინტერვენცია. სინკლერმა მოსთხოვა ჩემბერლენს, რათა ინგლისის მთავრობამ გადასინჯოს თავისი ეგრეთწოდებული „ჩაურევლობის" პოლიტიკა.

შემდეგ გამოვიდა ლეიბორისტი გრინვუდი, რომელმაც განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტია ესპანეთის საქმეებში ჩარევას კი არ მოითხოვს, არამედ დაჟინებით მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ ესპანეთის მთავრობას მიენიჭოს კანონიერი უფლება შეისყიდოს მისთვის საჭირო იარაღი.

დასასრულ მთავრობის სახელით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბეტლერი. მან დუმილით გვერდი აუარა ოპოზიციის მოთხოვნას ესპანეთის საკითხში ჩაურევლობის პოლიტიკის გადასინჯვის შესახებ.

კენჭისყრის დროს მთავრობამ მიიღო ხმის უმრავლესობა — 258 ხმა 133 ხმის წინააღმდეგ.

საკდესის ცნობა

საკდესს მოეპოვება ცნობები, რომ 2 თებერვალს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა უნგრეთის ელჩს მოსკოვში ბ-ნ იუნგერ-არნოტს აცნობა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გააუქმოს თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ბუდაპეშტში და რომ მოსალოდნელია უნგრეთის მისიის დახურვა მოსკოვში.

როგორც საკდესმა ავტორიტეტულ წრეებში შეიტყო, საბჭოთა მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება დაკავშირებულია იმასთან, რომ მიუნხენის შეთანხმების შედეგად ამ უკანასკნელ დროს უნგრეთზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენა იწყო ზოგიერთმა სახელმწიფომ. უნგრეთის მთავრობის პოლიტიკა მოწმობს, რომ იგი ადვილად ექცევა ამ გავლენის ქვეშ და რომ მან საგრძნობლად დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ უნგრეთის მთავრობის გადაწყვეტილება ეგრეთწოდებულ ანტიკომინტერნულ პაქტთან შეერთების შესახებ არ შეიძლება გამართლებულ იქნას თვით უნგრეთის სახელმწიფოს ინტერესებით, რაც სრულიადაც არ ემთხვევა იმ აგრესიულ მიზნებს, რომლებსაც ამ პაქტის საფარით ისახავენ მისი მონაწილენი და პირველ რიგში კი იაპონია, და რომ, მაშასადამე, ეს გადაწყვეტილება უნგრეთის მთავრობას თავზე მოახვიეს გარედან. უნგრეთის ასეთი მდგომარეობა უკვე ველარ ამართლებს იმას, რომ საბჭოთა მთავრობამ შეინარჩუნოს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა სპეციალურ წარმომადგენლობათა მეშვეობით ორივე სახელმწიფოს დედაქალაქში და ეს ურთიერთობა მომავალში შეიძლება არსებობდეს ორივე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მეშვეობით რომელიმე მესამე სახელმწიფოს დედაქალაქში. (საკდესი).

მდგომარეობა კატალონიის ფრონტზე

პარიზი, 1 თებერვალი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, ბრძოლა, რომელიც გუშინ კატალონიის ფრონტზე გაჩაღდა, იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის ჯარის დახევა ახალ ხაზებზე და მისი რეორგანიზაცია დამთავრებულია. ინტერვენტთა და მეამბოხეთა ჯარმა 30 იანვარს სცადა განეგრძო თავისი შეტევა ხერონის გზის გასწვრივ, მატაროს ჩრდილოეთით. შეტევას დახმარებას უწევდა რამდენიმე ტანკი. რესპუბლიკის ჯარის ერთეულების ინტენსიურმა ცეცხლმა, რომელიც ანადგურებდა შეტევაზე გადმოსული მტრის რიგებს, აიძულა იგი უკან გაბრუნებულიყო. ტანკებიც პირვანდელ პოზიციებზე დაბრუნდნენ. ამის შემდეგ მტერმა კიდევ რამდენჯერმე სცადა შეტევაზე გადასულიყო, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ მეამბოხეთა და ინტერვენტთა ჯარმა სცადა შორიდან შემოევლო რესპუბლიკის ჯარის ერთეულებისათვის ალყის შემორტყმის მიზნით. მტერმა გააფთრებული იერიში მიიტანა, რასაც წინ უსწრებდა საარტილერიო და საავიაციო შემზადება. მაგრამ მტრის ქვეითი ჯარი რესპუბლიკელთა ტყვიამფრქვევების ინტენსიურ ცეცხლს წააწყდა და იძულებული იყო უკან დაეხია; ბრძოლის ველზე მან მრავალი მოკლული და დაჭრილი დასტოვა.

1 თებერვლის დეპეშაში ესპანის სააგენტო იუწყება, რომ კატალონიის ფრონტის მთელს ახალ ხაზზე სამი დღის განმავლობაში გრძელდება ბრძოლა. რესპუბლიკის ჯარი თავდაპირველად წმინდა თავდაცვითი ოპერაციებით კმაყოფილდებოდა. ახლა მთელ რიგ პუნქტებში რესპუბლიკელები კონტრიერიშებზე გადადიან.

ბრძოლა სწარმოებს მთელს ფრონტებზე, გარდა პირენეის სექტორისა, სადაც მოწინააღმდეგე, როგორც სჩანს, თავისი ძალების გადაჯგუფებას ახდენს. ყველაზე უფრო მეტ ინტენსივობას ბრძოლამ მიაღწია იმ სექტორში, რომელიც ზღვასა და მანრესავიჩის გზას შუა მდებარეობს. არენის დე მარის, გრანოლიერსის, სან ფელიუ დე კოდინასისა და მოიას სექტორებში რესპუბლიკელები იგერიებენ მოწინააღმდეგის შეტევას. მონრესავიჩის გზის რაიონში მტერმა მოახერხა ოდნავ წინ წაეწია თავისი პოზიციები. ამ რაიონში განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს მთის მასივის როდოს გარშემო (1055 მეტრი სიმაღლე ზღვის დონიდან), რომელიც მდებარეობს 14 კილომეტრზე ვიჩის სამხრეთ-დასავლეთით. მტრის გააფთრებული იერიშების მიუხედავად, ეს მთის მასივი რჩება რესპუბლიკის ჯარის ხელში, რომელიც მის მაღლობებზე გამაგრდა.

რესპუბლიკის ჯარის მზვერავები იუწყებიან კატალონიის ფრონტზე იტალიის ჯარის გადაჯგუფების შესახებ. სანაპირო სექტორში იტალიის ჯარს სცვლიან შერეული და მაროკოელთა ჯარის ერთეულები. იტალიის დივიზიები გადაჰყავთ კატალონიის ფრონტის სექტორებში, რომლებიც საფრანგეთის საზღვრის ახლოს მდებარეობენ.

შიმშილი ბარსელონაში

ლონდონი, 1 თებერვალი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ბარსელონელი კორესპონდენტი იუწყება იმ შემაძრწუნებელი სცენების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ბარსელონაში ინტერვენტებისა და მეამბოხეების ძალა-უფლების დროს. 31 იანვარს ასობით მშიერმა ქალმა, რომელთაგან ბევრს პაწია ბავშვები ჰყავდა ხელში, სცადა სურსათ-სანოვაგის მიღება ბარსელონის განმანაწილებელ ცენტრში. პოლიციელთა და ჯარისკაცთა გაძლიერებული რაზმები ერეკებოდნენ მშიერ ქალებს. კორესპონდენტი იუწყება, რომ მან პირადად ნახა, თუ როგორ ერეკებოდნენ ჯარისკაცები ხალხს თოფის კონდახებით. ბევრ ქალს გული შეუღონდა. მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოაკრეს განცხადება იმის შესახებ, რომ სურსათ-სანოვაგის მთელი მარაგი გამოილია.

ტაბუის სტატია ამერიკულ ჟურნალ „ნეიშენში"

ნიუ-იორკი, 30 იანვარი (საკდესი). ტაბუიმ ამერიკულ ჟურნალ „ნეიშენში" მოათავსა სტატია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად საფრანგეთის მთავრობის სურვილისა — განთავისუფლდეს საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის პაქტისაგან, — სწერს ტაბუი, — ეს პაქტი უდიდეს გავლენას ახდენს მდგომარეობაზე ევროპაში და ხელს უშლის ჰიტლერს მისი აგრესიული გეგმების შესრულებაში.

„საბჭოთა მთავრობას, — სწერს ტაბუი, — სურს მშვიდობიანობა და ენერგიულად იბრძვის დიპლომატიური საშუალებებით ამ მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. საბჭოთა დიპლომატია მეტად ფხიზლად აფასებს მომენტს და თავის მოქმედებაში სისწრაფესა და ოპერატიულობას იჩენს. საბჭოთა კავშირი ვერ აიძულეს კაპიტულაცია მოეხდინა შანტაჟური მუქარის წინაშე, ასეთმა შანტაჟურმა მუქარამ შეაშინა ინგლისი და საფრანგეთი".

მიუნხენის შეთანხმების შემდეგ გერმანია ენერგიულ ზომებს იღებს იმისათვის, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის ლიკვიდაცია მოახდინოს. „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის პოტენციალური ძალა" იმდენად დიდია, — აღნიშნავს ტაბუი, — რომ საფრანგეთის მინისტრებიც კი, რომელთაც სურვილი აქვთ ამ პაქტის ლიკვიდირებისა, იძულებული ხდებიან მხარი დაუჭირონ მას იმისთვის, რომ შეინარჩუნონ ძალთა წონასწორობა ევროპაში. ეს მინისტრები ხანდახან იმედს გამოსთქვამდნენ, რომ მათი ურთიერთობა მოსკოვთან აიძულებს კრემლს უარი სთქვას პაქტზე, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელები მეტად შორსმჭვრეტელნი არიან, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგან. რიბენტროპი ისე დაბრუნდა ბერლინს, რომ ვერ მიაღწია აღმოსავლეთში გერმანიისათვის თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას. ამას შეუძლია ჩაშალოს ჰიტლერის გეგმები პოლონეთისა და საბჭოთა უკრაინის მიმართ.

საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული პაქტის განმტკიცება უდიდეს შესაძლებლობას ანიჭებს საფრანგეთს თავისი პოზიციების გასაძლიერებლად. მაგრამ საფრანგეთმა ეს შესაძლებლობანი უარჰყო. პოლონეთის ელჩი ამაოდ ცდილობდა ეწარმოებინა მოლაპარაკება ბონესთან საფრანგეთ-პოლონეთის თანამშრომლობის განახლების შესახებ. ბეკის დარბაზობამ ბერხტესგადენში დაარწმუნა ჰიტლერი იმაში, რომ, თუ გერმანია თავს დაესხმის პოლონეთის უკრაინას, მაშინ საბჭოთა კავშირი პოლონეთს დაიცავს და ამ მდგომარეობაში საფრანგეთი ვერ შეძლებს დაიკავოს ისეთივე პოზიცია, როგორიც მან დაიკავა ჩეხოსლოვაკიის მიმართ.

მას შემდეგ, რაც რიბენტროპი დამარცხდა, ჰიტლერი იძულებული გახდა უკან დაეხია. აღმოსავლეთისაკენ მოძრაობის მაგიერ, ჰიტლერი, როგორც სჩანს, იძულებული გახდა პირი ებრუნებინა ხმელთაშუა ზღვისაკენ და კოლონიური საკითხისაკენ. საფრანგეთის ხალხი ერთსულოვნად მზად არის დაიცვას საფრანგეთის კოლონიები. თუ გერმანია დაჟინებით დაადგება თავის მოთხოვნებს და თავს დაესხმის საფრანგეთს, მაშინ ეს გამოიწვევს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის ამოქმედებას. ამრიგად, შესაძლებელია, რომ გერმანია დარწმუნდება რა იმაში, რომ საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს, უარს იტყვის თავის მოთხოვნებზე, რამდენადაც გერმანიას ეშინია არ ჩაითრიონ მსოფლიო ომში, რომელშიაც იგი იძულებული იქნება თავი დაიცვას ორ ფრონტზე".

პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება" ქუთაისის სახელმწიფო თეატრში: მანუჩარ—ქ. აბესაძე; გვირისტინე — შ. ქავჭანიძე; ხახული—ვ. ჩხიკვაძე; ხარიტონ—ა. მურუსიძე; ლომკაცა—შ. ხონელი.

დამთავრდა სავარჯიშო საჭადრაკო ტურნირი

1 თებერვალს გათამაშდა ლევენფიშ-რაგოზინის პარტია, რომელიც გადაიდო უკანასკნელ ტურში. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ ლევენფიშმა გაიმარჯვა.

სავარჯიშო საჭადრაკო ტურნირი დამთავრდა. პირველ ადგილზეა გროსმაისტერი ფლორი, რომელსაც დაგროვილი აქვს 12 ქულა, მეორეზე — გროსმაისტერი რიშევსკი (10½). მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის გროსმაისტერმა ლევენფიშმა, ოსტატებმა რაგოზინმა და მაკოგონოვმა და გროსმაისტერმა ლილიენტალმა, ამათში 10 ქულა აქვს თვითეულს. ოსტატმა რაბინოვიჩმა და ბელავენეცმა 9½ ქულა დააგროვა თვითეულმა და ამით მათ მეშვიდე და მერვე ადგილი დაიკავეს. მეცხრე და მეათე ადგილზე ალატორცევი და კანი არიან (9 ქულა თვითეულს), მეთერთმეტე ადგილზე არის ოსტატი კონსტანტინოპოლსკი (8½), მეთორმეტე და მეცამეტეზე — მოსკოვის ჩემპიონი სმისლოვი და გროსმაისტერი კერესი (8 ქულა თვითეულს), მეთოთხმეტე ადგილზე — ოსტატი გოგლიძე (7½), მეთხუთმეტეზე — ოსტატი ტოლუში (7), მეთექვსმეტეზე — დამსახურებული ოსტატი რომანოვსკი (6), მეჩვიდმეტეზე — ბონდარევსკი (5) და მეთვრამეტეზე — პანოვი (3½).

მწერალთა თათბირი რადიოგადაცემათა საკითხებზე

ამ დღეებში საქართველოს რადიოკომიტეტის ლიტერატურულ-დრამატიულმა სექციამ მოიწვია საქ. საბჭოთა მწერლებისა და კრიტიკოსების გაფართოვებული თათბირი, რომელსაც 50-ზე მეტი მწერალი დაესწრო.

თათბირი გახსნა საქ. რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შ. ცაგარეიშვილმა, რომელმაც გააცნო მსმენელებს რადიოგადაცემის უახლოესი ამოცანები.

მოსმენილი იქნა მოხსენება ლიტერატურულ-დრამატიულ გადაცემათა სექტორის მუშაობისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის თემატური გეგმის შესახებ.

მიმდინარე წლის გეგმა შეიცავს მეტად მდიდარ გადაცემებს. უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე საბჭოთა მწერლობას. თეატრების ცალკეული დადგმების ტრანსლაციის სექტორმა შემოიტანა გადაცემათა მთელი რიგი ახალი სახეები მათ შორის სიტყვის ოსტატთა გამოყვანა მიკროფონთან, იუმორის საღამოები, ლიტერატურის ახალი ამბები, რეცენზიები, მიმოხილვები და სხვ., რაც წინათ სრულიად მივიწყებული იყო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქ. მწერალთა კავშირის პ/მგ. მდივანმა ორდენოსანმა პოეტმა ა. მაშაშვილმა, კ. გამსახურდიამ, ორდენოსანმა დრამატურგმა ს. შანშიაშვილმა, პოეტებმა ი. მოსაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ეულმა, მწერლებმა ს. წვერავამ, ა. ბელიაშვილმა და სხვ.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ პოეტები და მწერლები უფრო ხშირად გამოდიოდნენ მიკროფონთან თავიანთი ახალი ნაწარმოებებით.

მოსკოველი სტუდენტები სვანეთში

მესტია, (ტელეგრ. საქ. კორ.). მესტიაში ჩამოვიდნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირელ სტუდენტთა ალპინიადის მონაწილენი სტუდენტ პოპოვის მეთაურობით. ალპინიადაში მონაწილეობს 9 კომკავშირელი სტუდენტი. სტუდენტთა საზამთრო არდადეგების პერიოდში ხსენებული ალპინიადა მოეწყო მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავის აღსანიშნავად.

27 იანვარს სტუდენტი ალპინისტები გამოვიდნენ ნალჩიკიდან თხილამურებით. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა (ნისლი, ძლიერი ქარი და სხვ.) მათ მესტიის გადმოსასვლელზე გადმოლახეს 2.400 მეტრის სიმაღლის მწვერვალი, რომელიც ამჟამად დაფარულია 2 მეტრის სიღრმის თოვლით.

მესტიის კლუბში სტუდენტ ალპინისტებს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. საზეიმო მიტინგს 300-ზე მეტი კაცი დაესწრო. სტუმრებს მხურვალედ მიესალმნენ ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ალპინიადის მეთაურმა სტუდენტმა პოპოვმა დამსწრეებს ფართოდ გააცნო მგზავრობის მომენტები და სტუდენტთა შთაბეჭდილებანი სვანეთის შესახებ. სტუდენტი ალპინისტები კმაყოფილი დარჩნენ შეხვედრით. სტუმრები 2 თებერვალს ტვიბერის გადასასვლელით დაბრუნდნენ უკან მოსკოვისაკენ.

ამჟამად მესტიაში თოვლის სიღრმე 60 სანტიმეტრს აღწევს, კვლავ განუწყვეტლივ თოვს.

გ. ქობალია

„კოლმეურნის ქორწინება" ქუთაისის სახელმწიფო თეატრში

დადგმა გ. სულიაშვილის, მხატვარი — ქ. სანაძე, კომპოზიტორი — თ. ვახვახიშვილი.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე **პ. კაკაბაძის** „კოლმეურნის ქორწინება" ვნახეთ. მერცხჯერ იდგმება და დარბაზი ისევ სავსეა. სჩანს, თეატრს მაყურებლის ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია. სჩანს, ეს სპექტაკლიც ღირსეულად არის გამართული, მიმზიდველია და მომხიბვლელი.

სინათლემ იკლო და დარბაზი სიჩუმემ მოიცვა. **თ. ვახვახიშვილი** გვამზადებს სპექტაკლის მოსასმენისათვის. მისი მუსიკა სიხარულის განწყობას გვიქმნის, სიცილსა და სასიამო განცდებს გვპირდება. ხალისიანი ელფერის, ყურთასმენისთვის მიმზიდველობით აღსავსე მშობლიური ჰანგები, სიკისკასით აელვარებული ოსტატურად შეზავებული ცოცხალი და მჩქეფარე ხმები ცხოველი სიცილის ზემოქმედებას იჩენენ.

სცენაზე შეძლებული ცხოვრების გამომხატველი ახალი ოდის წინ მსახიობი **ვ. ჩხიკვაძე** ხახულის განსახიერებას იწყებს. მას სუფთად და სადად აცვია. სწორად მოფიქრებული მისი სახასიათო გრიმი გვიხატავს მოჯამაგირეობაში მრავალჭირგადახდილი მოხუცი გლეხის სახეს. სიმართლის გამომსახველი დეტალებია: მოწინავე სტახანოველის მოხუც მამას რომ სუფთად და წესიერად აცვია, მის სახეს რომ ჩაგვრა-მონობის დროინდელი ჭირვარამის კვალი ამჩნევია, მის სიარულს, მის მიხვრა-მოხვრას რომ ბედნიერი ცხოვრებით წელში გამართვა დასტყობია. ეს დეტალებია, მაგრამ სიმართლით განსახიერებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი. მთავარი კი რეჟისორისა და მსახიობის მიერ ტიპის სწორი გაგებით, აქტიორული შესრულების სწორი გამიზვნით არის მოპოვებული. ავტორს ოსტატურად აქვს გამართული „ძველის ახლის" სცენა, რომელიც რეჟისორის მიერ მართებულად არის ჩაზგასმული და წინწამოწეული, მსახიობიც მომხიბვლელად და დამაჯერებლად გვიხატავს ამ მომენტს, აღსავსეს მძაფრი დრამატიზმითა და ცხოველი კომიზმით. მაგრამ ეს საინტერესოდ წარმართული ხაზი პიესაში მეორე მოქმედების ბოლოდან წყდება და მსახიობს შემდეგ თითქმის არაფერი დარჩა სათამაშო. საინტერესო კი იყო, რომ ხახულის გამოფხიზლება მესამე აქტშიაც მოქმედებით გვენახა და განგვეცადა.

თეატრის ხელმძღვანელობის, რეჟისორის შემოქმედებითი რისკია გვირისტინეს როლში მსახიობ ქალის **შ. ქავჭანიძის** გამოყვანა. აქტიორული კადრების ასეთი დაწინაურება მისასალმებელია, რაკი სერიოზული, მუყაითი და გულმოდგინე მუშაობა რისკს ამართლებს და მაყურებელს მსახიობის წარმატება ახარებს.

თუ რამდენად სწორია და კარგია, როდესაც რეჟისორი და მსახიობი ავტორს მიუხვდებიან და სწორედ იმას ანხორციელებენ, რისი თქმაც და გამოხატვაც ავტორს უნდოდა, ეს ნათლად იგრძნობა მსახიობების თ. კიკნაძისა (კაკალა) და **მ. ფხაკაძის** (ირინე) ცოცხალი და გულწრფელობით გამთბარი თამაშით. მხოლოდ გვინდა თ. კიკნაძეს გავახსენოთ, რომ მომხიბვლელობის ძალას ჰკარგავს ის, რაც ხშირად მეორდება, მეტისმეტი მოძრაობა და გახშირებული ჟესტიკულაცია არ შეიძლება ლამაზი იყოს.

პ. კაკაბაძის პიესების ღირსება ისიც არის, რომ მათში ყოველ წარმოსათქმელ სიტყვას აზრი აქვს და ფასი. სანახაობითი ეფექტები აქ მხატვრული მეტყველების ძალამ უნდა შესცვალოს და სრულიად მართებულად მოქცეულან რეჟისორიცა და პიესაში მონაწილე მსახიობებიც, რომ მუშაობა სწორედ ამ გეზით წარუმართავთ. ხახულის (ვ. ჩხიკვაძე) და მანუჩარის (ქ. აბესაძე) დიალოგები ამჟღავნებენ პიესაზე სიყვარულით მუშაობას, ტექსტის სწორად ამოხსნის უნარს და შემსრულებელთა ცოცხალი სიტყვის ძალას. **ქ. აბესაძემ** შესძლო მანუჩარის უთუოდ ტიპიური და თანაც თავისებური ორიგინალური სასცენო სახის შექმნა.

მსახიობი **შ. ხონელი** ამ სპექტაკლში ლომკაცას შემსრულებელია. სიცილის აღმგზნები ძალით მიაქვს მას მაყურებლამდე ყოველი სიტყვა. მართალი ჟესტი აქვს და გავლა-გამოვლა ისე ცოცხლად წარმომსახველი, რომ თითქოს სადღაც გინახავს, გუშინ სადღაც შეხვედრიხარ და ვერ მოგიგონია. კარგად, გონებამახვილად და მოსწრებულად დასცინის და ჰკილავს უქნარა კაცის მლიქვნელობასა და გაიძვერობას.

ხარიტონის როლის შემსრულებელი მსახიობი **ა. მურუსიძე** მოსაწონ თავდაჭერას იჩენს, სიტყვისა და მოძრაობის ბუნებრივ კილოს ნახულობს, ისე თავისუფლად თამაშობს, ისე დამაჯერებლად ხატავს თქვენს წინ სახეს, რომ ხედავთ, თუ რამდენად საგრძნობი მნიშვნელობა აქვს სცენისათვის აქტიორულ განსახიერებაში გაწაფულობას.

ჯამლეთის როლში მსახიობი **მ. სვანაძე** და მირიანეს როლში მსახიობი **ვ. მეგრელიშვილი** კეთილსინდისიერ შემსრულებლებად სჩანან, და თუ მეტს ვერაფერს ვიტყვით, ეს პიესის ავტორს მოეკითხოს, რომელმაც ორივე პერსონაჟს ფერი და ხასიათი დააკლო.

ახალგაზრდობასთან სერიოზული მუშაობის მაუწყებელია, რომ ჯიბილოსა და ვატას საპასუხისმგებლო როლები ახალგაზრდა აქტიორებისათვის **ვ. კინწურაშვილისა და ბ. კოკელაძისთვის** მიუნდვიათ. ამ ხანად ამ სახეთა სრულყოფით განსახიერებას მათ ვერ მოვთხოვთ.

„კოლმეურნის ქორწინება" ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე რეალისტური სპექტაკლია. რეჟ. **გ. სულიაშვილმა** სწორი გაზრება მისცა სპექტაკლს, მას კარგად წარუმართავს მსახიობთა მუშაობა, რის შედეგადაც ქართული საბჭოთა აქტიორული შემოქმედება გამდიდრდა რამდენიმე შესანიშნავი სახით. მაღალმხატვრულ დრამატურგიულ მასალაზე მუშაობაში აქტიორები გაიზარდნენ, დახელოვნდნენ და ახლა ჩვენს მწერლობას ემართოს მათთვის სოციალისტური ყოფის ამსახველი ახალი და კარგი პიესა.

დ. ჯანელიძე

ბაკურიანის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლე ბ. ჯანგობეგოვი თხილამურებით ბოგიდან ხტომის მომენტში.

ფოტო თ. ფურცელაძისა

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საქართველოს სახელოვანი მეცნიერის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ორდენოსანი პროფესორის ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი უამრავი შრომები, წერილები და სტატიები, რაც ამ 40 წლის განმავლობაში ჩვენს მხცოვან მეცნიერს დაუწერია, იძლევა მისი დაუღალავი, თავდადებული საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობის ნათელ სურათს.

აქვე გამოფენილია პროფესორ ივ. ჯავახიშვილის შრომების თარგმანები რუსულ და უცხო ენებზე.

ტუნგოს ზეთის ქარხანა ქობულეთში

ამ დღეებში ქობულეთში ამუშავდება საბჭოთა კავშირში პირველი ტუნგოს ზეთის ქარხანა. მიმდინარე წელს ქარხანა გადაამუშავებს საქართველოს ტუნგოს პლანტაციებზე მოკრეფილს 900 ტონა ტუნგოს ნაყოფს.

ტუნგოს ნაყოფიდან მიღებული ზეთი მეტად ძვირფას პროდუქციას წარმოადგენს საღებავების წარმოებისათვის.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

3 თებერვალს ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. **ა. გიორგაძის** ლექციას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

8 თებერვალს 26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. **ტ. ათაბეგოვის** ლექციას თემაზე: ესპანეთის პოლიტიკურ - ეკონომიური მიმოხილვა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები:
3—18—46 და 3—61—68.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს მელიქ მოსეს-ძე ანტონიანს, ალექსი ვასილის-ძე იაროვიკოვს, სურენ კონსტანტინეს-ძე მანუკიანს, გიორგი ივანეს-ძე ყურულაშვილს, ლეონ დავითის-ძე დავიდოვიჩს, იური გრიგოლის-ძე შატოვს და ამბროსი ბაღდოს-ძე ჩხეიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. აგასაროვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული).

○

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომი იუწყება, რომ პარტბილეთი № 2845698, გაცემული მის მიერ დავით იასონის-ძე ზოკუჩავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ საკანდიდატო ბარათი № 1262151, გაცემული სერგო აბრამის-ძე ტერზიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი იუწყება, რომ მის მიერ გაცემული პარტბილეთები № 1527393 ექვთიმე ფარნაოზის-ძე ჯანაძისა და № 2839834 — თამარ ილარიონის-ასულ სალინაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია ა. წ. 4 თებერვალს იწვევს ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა აქტივის

საქალაქო შეკრებას

შემდეგი დღის წესრიგით: ძირეული პრესისა და მუშკორთა ამოცანები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით (მომხსენებელი ამხ. ვ. ხატიაშვილი).

შეკრებაზე დასასწრებლად მოწვეული არიან მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი და კედლის გაზეთების რედაქტორები, რედკოლეგიის წევრები და მუშკორთა აქტივი.

შეკრება გაიხსნება საღამოს 7 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქუჩა № 5).

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი
3/II წარმოდგენა 108 თოფიანი კაცი
4/II წარმოდგენა 109 ფოლადაური
5/II წარმოდგენა 110 უდანაშაულოდ დამნაშავენი
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.
3/II მუდმ. ადგ. ტალ. № 88 აბ. სერ. № 6 მალთაყვა
4/II მუდმ. ადგ. ტალ. № 89 აბ. სერ. № 7 პიკის ქალი
5/II მუდმ. ადგ. ტალ. № 90 ქეთო და კოტე
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმ ნ. გ. კანტოროვიჩის თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 11—3 ს და საღამოს 6—8 ს.
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვივნისთების მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა 170 5—2

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
3/II კოლმეურნის ქორწინება
4/II ნაპერწკლიდან
5/II შური
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახცირკი ტელ. 3-11-44 დღეს
ახალი საატრაქციონო პროგრამა პირველი გამოსვლები ოსტატი მსახიობების ვოლინეცკებისა (ეკვილიბრ.), მსახიობ ზასტავნიკოვისა (ბუფ. ანტრე), მსახიობ რუბანოვებისა (აკრ. ექსცენტრ.) პირველი გამოსვლა დიდი ატრაქციონისა
ალი-ვად (მსახ. ვადიმოვი) ასისტენტებით.
ილუზიონური ცდების დემონსტრატორები.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ტრესტი „საქკომმარაგება"
აუწყებს თავის მომწოდებლებს და მომხმარებლებს, რომ 1939 წ. 1 იანვრიდან ტრესტის შედგენილობაში მოწყობილია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორი კანტორა:
1. საამშენებლო—სილიკატური კანტორა, რომელიც აწარმოებს საამშენებლო, სილიკატური, ქიმიური და დამხმარე მასალების მომარაგებას.
მისამართი: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. № 1, ანგარიშსწორების ანგარიში № 29/134 კომუნალურ ბანკში.
2. ლითონ ტექნიკური კანტორა, რომელიც აწარმოებს ყველა სახის მოწყობილობის, მათ შორის ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობის, შავი ლითონების, კავეულობის, ლითონნაწარმის და სახლთმოწყობილობის საგნების მომარაგებას.
მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, ხუთწლედის ქ. № 16, ანგარიშსწორების ანგარიში № 29/133 კომუნალურ ბანკში.
კანტორები შეუდგნენ მომხმარებლებთან ხელშეკრულების დადებას 1939 წ.
515

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34' ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ე—284